# ცისკარი.

## ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

1857

№ 10. ოკტომბერი.

ქ. ტფილისი.

# ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე, და უკეთუ მოუპყრა ყური შენი, ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისოზირ. თავი 6. მუხ. 34.)

**1857** წლისა.

წიგნი მეათე.

ოკტომბერი.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. ტფილისს.

ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Цензурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ. г. Тифлисъ. 8 сентября 1857 года. Цензоръ Кайтмазовъ

# ცისკარი.

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი.

### პოეზია

### ბეჭედი. (*)

საყვარელმან საყვარელსა ნახა ოდეს მიღხა შინა,
გაეღვიძა, და არღა ჰყვა, მისსა ბეჭედს გაუცინა;
მას უანბო მისგან თქმული, გრძნობით ლექსი შეა-
დგინა,
და ტაეპი შეასრულა, ჭვალად მიწვა მიიძინა:
ნიშნად ბეჭედო შენ, ჩემად თქმულო,
დაგტრფი, საყვარლის ჴელსა ნახულო!
რად მოგიშორა თჳს საგონებლად,
ჩემის სევდისა აღმაშფოთებლად?
რომ დაგინახავ ცეცხლი მეგზნება,

---

(*) ამ ლექს მასთჳს უფრო ვბეჭდავთ, რომ სომეხისაგან არის შეთხზული. სომეხნიც კი ცდილობენ ჩვენის სიტყვიერებისათჳს! რედ.

ბრძოლისა ჴელი-წარმომდგენა.
სიზმრათ ვიხილე შენი მფლობელი,
მიალერსებდა ჴელს მომცა ჴელი,
მრქუა: ესე ჴელი გეკუთნის შენა,
ჩემს გულს ვერვინ სცვლის სიკვდილამდენა,
მსხვერპლად შეწირავს ფიცით ანბობდა;
ამის თავდებათ ზენას ღმერთს ხმობდა.
შენცა ბეჭედო! მის მიბამებით,
გმართებს რომ იყო ჩემთან მონებით!

იოს. ოვანოვი.

აგვისტოს 28,
1857 წელსა.
ს. ცხინვალს.

## ზღაპარი.

შეჩივლია ცხოვართაგან თუშდამი პატრო-
ნისა, ჩეემსეზედ.

მართალი უთქვამსთ,
ძე გამოუთქვამსთ,
უპატრონო თხას, მგელი გაჰხეთქსო;
ერთი ესეცა,
ნამდვილი ესეცა,
ბევრი ძღლის ხროვა, ნამნევს ვერ იქსო! —
ესე ერთა ხმა,

დაბიური თქმა,
მრთელს გონებაზედ, არს დაუფუძვნელია
თუმცა არა გჳჩანს,
ლიტონათა გჳჩანს,
მარამ ყოველი, არს ერთობ ბრძნული! —
ეს ჩუენ მოგვიხდა,
საქმე წაგვთხდა,
რომ ჩუენ მიგჳანდეთ, ამდენთა მწყემსთა;
ყვროს ყჳროსზედ,
მათ უხუცესზედ,
სიტყვა გაჭყვანდათ, უმეტეს მწყემსთა! —
ამით წყობანი,
ჱ დაწყობანი,
გაუგონდობით, შეექმნათ უქმად:
მალის ქადილნი,
გულის წადილნი,
გგეხნა ამაოდ, ჭკლაჯ გაუცუდდათ:
ესრეთ, ერთს დღესა,
ივლისის თუესა,
ოდესცა იყო, დიდი ცხელი დღე.
მწყემსნი ჩრდილსა სხდნენ
ჱ ნებივრობდნენ,
ჩუენ ველად განვლეთ, დილით იგი დღე.
ჩუენ იმედითა,
მათ იმედითა,
წინ არვიმდჳანეთ, ყოჩნი ჱ თხანი:
განვიფანტენით,
განვიბნიენით

საძოვნელთა ციკან ბატკანნი! —
მსუქანნი ჩრდილს წვნენ
ცოხვნით იმღერდნენ,
მგლის ხროვისათჳს, არვის ხრუწვიდნენ.
ამ დროს მგლის ხროვა,
კვლავ მოიგროვა,
ყველას კუთხეზედ, ჩუენზედ ღმუოდნენ;
გაგჳბასრეს მზარეთ,
მოგწყვიტეს მწარეთ,
ჩუენის სისხლითა, კერპთ უზორებდნენ:
ჩუენ წმინდათ კრავთა,
ოქროს თმათ ცხჳართა,
სასტიკად ჰქენჯდნენ, არ იწყალებდნენ! —
არც მათ სიმსუქნეს,
არცდა სიტურფეს,
არც მათ ბღავილთა, ყურთ მიუცვიდნენ! —
მათ სინაზესა,
მართლ სიკაზმესა,
უგვანნი მგელნი, ურჩხილითა ჰცრეცვიდნენ! —
ესეც ჰქმნეს მჴეცთა,
უგვანად მგლეჯთა,
ბატკან ციკანნი, დაგჳპატიმრეს.
მათ გიშრის თჳალთა,
ჩუენ ყველას თჳალთა,
სისხლისა ცრემლნი, მათ მოაწვიმნეს! —
მათ სიმსუქნითა,
და სიკაზმითა,
თჳთ სარგებლობენ და მსუქდებიან;

მათის ბაძითა,
და სინაზითა,
აწ ბრძენდებიან, ხმიანდებიან! —
ახლა ჭაკრონი,
ჩუმნი ბაკონი,
მათ ჭაკიმართ მსგავსი, რა დაგმოთვნია,
არც უწინ დროსა,
არცა ამა დროსა,
ესე ზიანი არვის ჰსმენია:
ეს კავკასის მთა,
დიდი ვრცელი მთა,
უწინდელს დროსა, ჩუენ გვქონდა მოგვნად:
ბევრჯელ მრავალ დღე·
თვით გორგასის დღე,
მწყემსნი ვერ გვჰპოებდნენ, სად ვიყავთ მოგნად! —
მთას ავდიოდით,
ველად ვრბიოდით,
თვით მგელთ ღმუილი, ურჩთა გვესმოდის:
მათი ხვიალი,
ქვიდთა ხჭიალი,
არ გვაშინებდის, არად გვესმოდის! —
გასუქებულთა,
გალაღებულთა,
მათის მდელოთი, და ველითა წყლით.
სტკვენა გალობით,
მათზედ მმღერობით,
არა ოდესმე, არ მოგვწყინდით.
მათნი ბუდეები,

და თჳთ მგელება,
ჩუენნი მწყემსთ ჰსტკუენაჩელ, შექმნილნენ ზარზენას;
მათს ფეხის კმაზედ,
აბჯარ ჟღარუნზედ,
მსწრაფლ დაიწყებდნენ, სოროებს მგრენას
ჩუენს წინაპართა,
ბატონთა ყმათა,
მძჳნად შესწირვიდნენ ხარკთა და კრავთა;
მათთა ბელებთა,
შავთა ჭრელებთა,
მხიარულად მძჳნიდნენ ჩუენნი ულოთა ცხოვართა!
თუ იმგელიან,
ან იმელიან,
მკაცრად გადახდილთ მათ ერთი ათად
თჳთ ტყჳის ბელნი,
კუდ მქნევნი მელნი,
ვერ გაბედვიდნენ ცოკნისაც კარწვსად
ოდეს ენების,
ბატონს ენების,
დამქრალ შეჰკყარნის მათ კავკასთ მგლებთა;
ფერად ფერადნი,
შავნი ჭრელადნი,
სხჳა სხჳა სოროსნი ახალნი მგელნი!
ოდეს შეირისხნის,
და განირისხნის,
მათ მგელთ შექმნიან ზუზუნ, წუწუნი:
შიშისა ზარით,
ცრემლითა მწარით,

განივლტოდიან, ჭყვნიან ბჟუნძულნი!
ახლა მპატრონო,
ჩუენნო ბატონნო,
ჩუენთ მპატიმართა, ყურ დავკჭყურით მთათა;
მოდი გუიბრძანე,
ლაშქრად მიგუგზავნე.
მათ დავასხუსტებთ, გაუწყვეტთ ყმათა! —
ჩუენის რქებითა,
თავში ცემითა,
სულ ამოვსწყვეტამთ, მათ სზათა ყვავითა;
ურჩებს დაურევთ,
სოროთ დაუნგრევთ,
მით ამოვყურით, მათ მგელთა ყვავრთა!
ჩუენთ მპატიმართა,
ციკან-ბატკანთა,
წინ გამოვყირევთ, ჩამოვყლით ველად!
ამოვაშხამებთ,
სულ ჩავაშხამებთ,
რაც უხელიათ, მათ ახლად, ძველად!
მათ მოვაგონებთ,
ჩუენც მოვიგონებთ,
რომ ზარი დავსცეთ, კავკასის მთასა;
ვინც იქ ბუდობენ,
ჩუენთან მრუდობენ,
ყველა ვერ გაბედონ, გადმოსვლა მთასა

რ. ე.

## გულისადმი.

აჰ, გულო! რად არ გასხიან ფრთანი,
რომლით მაღლგულდვას მაღლად ფრენავდი?
მაშინ ნახავდი სულთა ჰამჩქერვართა,
სად აქუსთ სადგური ჩუენთ წინაპართა,
შორით დასტრფოდი ერთბამ კრებასა,
ნახავდი ჩუენთჳს მათ ვედრებასა.
გულის აღმტაცსა, სულის ორღანსა,
რომელს ამღერებენ ცის დასნი ბანსა!
უკეთუ ესრეთ იქნებოდამცა,
მოგცემდა ცოდვილს, სადგურს ერთის წუთის ღ
ვგონებ მაშინ თჳთ შენ იხილავდი,
ჩუენ და მათ შორის განსხუავებასა,
და თჳთო თჳთოდ ყოველს განსჯილი
მათ სიამოვნეს, ჩუენს წვალებასა:
ღამე უძილოდ, დღე მაშვრალობას,
საზიზღრად ყოფას, ცოდვის მრავლობას.
და მჯერავს, რომე მსწრაფლ ისურვებდი
შენ ტყუეობიდამ თავის უფლებას,
მაშინ უშიშრად ბორკილს გასწყვეტდი,
მიეცემოდი ცის სიტკბოებას!....

ი. ს.

## ჩხიკვ-ფეხავ-ბეჟიანი.

ზღაპარი იტყვის თურმე, მფრინჳელთა მეფედ
ოდესმე ბუა,

ხოლო ჩა ჳერინჭოლთ, იცნეს სუსტ-მკორად, რომ
იყო იგი სჯინისათჳს ყრუჲ,
მაშინ მოაკლდეს კვარიხსა თჳსსა, აღინეს თვალთგან
ცრემლთ მწარეთ რუჲ,
ჟრთ-შეყრებითად, ექსორია მჸყვეს, და მიუჩინეს
სამყოფად დრუჲ.

მჳრინჭოლთ ჰსჯამან უწყალომან, სასტიკეცა
განჩინება
განუწყსა, ღღის არ ხილვა, ღამე ურინჯს მისცა ნება,
არცა გარეკა მჳრინჭოლთ რიცხჳთ, არცა მათებრივ
ღიღინება,
თლენ ბნელშიდ გვნესით, სულთქმით წინადებით
მოგონება.

ბუმან მუნათ განგებულმან დრუთა შინა ისადგურა,
მედამურა, უჩვეხურა, უჩწლანი მან იმსახურა,
გალობა ჰსთქუა ზარნაშურა, საცადეული არ დაშურა,
მერედ ახლად თავი განთქუა საწადელი აღისრულდა.

ხვსა ეჭისა მშჳწნიერსა, სად გრო ტრედთა სად-
გურებდა,
განსცხრებოდა, დასტკბებოდა, ტკბილ ღუღუნით
იხარებდა,
ხოროთ შინა იბუდვრიდა, თავსა ქართგან იფა-
რევდა,
მეცუდლისა დაკოლისგან დრო გაჩნდა, ბუს ფა-
რევდა.

სამეფოსა ზეცისასა, ვიცით რა არის უბრწყინვალე,
ღრუნი, სავსენი ინდოეთ, გომბიოებით თუ სხვებით,
ამით განლაღებულმან ბუმან ამაყად ურცხვებით.
შეავიწროვა გრო ტრედთა, ჭრიქვა ხესა ამას ნუ ჰსცხ-
რებით!

ტრედთა ჰკადრეს სიმდაბლითა, ხე ჩუენია დიდის
ხნიდამ,
ვიდრე ცუდით დაკოდამდეც აქ გჭირვებოდით
ყოვლის მხრიდამ,
ზოგი რის დრუ, მას გაუჩნდა, შეგვითვისა დამე-
შიდამ,
ნურც სასტიკად გვავიწროებ, ნურც გადმოგვყარო-
ამა ხიდამ.

ოდესცა ბუმან არა ისმინა, სამართლიანი ტრედთა
ვედრება,
შორი გზა განვლეს, არწივს შეჩივლეს ბუსაგან
მჩხომ ტრედთ შეიწრება,
უთხრეს: მეფეთაგან მოვარჩუმლად გვიცვი, ბუს შეა-
გონე, რათ არ გვეცლება?
დასცხრეს, ნუ მოგვცეს, თჳს თჳს წავიდეს, ანუ
შერისხეს ეგ მას ვედრება.

ჩხიკვი კი ყვავი, ხომ ყველამ იცის ბუს ამხანაგად
არ იკადრებენ,
იტყვიან ყარითა ჩუენ უმადლოებნი, ნახვასაც მისას
თვით იზარებენ.

ოდეს იხილონ ღრუბლთ მგზავრნი ზღუ, მისის ტანჯვით
დიდს იხარებენ,
თუმცა არა თავის შექცევისათვს, სანუალის არ ოდეს
არც იყარებენ.

გარნა ოდეს არწივმან ზღუს, ამცნო მკვრეთა
საჩივარი,
ჩხიკვი, ყვავი, ერთად შეკრბენ, ზღუს უჩივის: უთხარ
ვარი.
რადგან ხე ეს შენ გვაყუდვნის, არის შენი საყუდარი,
არწივი შენ მალს ვერ გიცავს, იცის რამან ჩუენი
ჭჳარი.

იცის რომა, ქორი, მერა, ჩუენგან ხშირად იდე-
ვნების,
გარნ სჯულის რომა ჩუენ შემწევართ, შენი მარად მეო-
ჯინებას,
ტრედთ ზრუნვისგან კვალს აიღებს, რადგან არის
შენ ზღუ მეფის,
ოდეს იცნობს თავს უღონოდ, შეშინდების, დაგე-
ხსნების.

ჩხიკვმან, ყვავმან, საიდუმლოდ ზღუსთვს ესრედ
გაიჩრახეს,
არწივი თუ, ანუ ზღუა, დაეტაკნენ როს ერთმანეთს,
ზღუს ვითომცა შევეწიოთ, და განვაბათ ჩვენის მახეს,
ტრედნი კვლად ჩუენ დაგვრჩება, მოეშორების
ზღუა რა ხეს.

მეოქმეყლობა ჩხიკვ-ყუავ-ბუეს, არწივმან ჰსცნო
საკვირველად,
ბუსა ჰკითხა: ჩხიკვი, ყუავი, გიპოვნია სიდამ მც-
ველად?
თუმცა არ იცი მოიკითხე მეგობრობა მათი მცველად,
ჰე ირწმუნე რომ დაგჭირდეს, არ მოგკლიან შენდა
შველად.

ჩხიკვსა ჰკითხეს, საიდამ ხარ ბუეს აგრე მეგო-
ბარი,
ყუავო შენცა მოიგონე გაქუს შენცა საქმე საშიშარი,
იცი შენსა საბუდარსაც, ხშირად ახჩობს წვიმის
ღვარი,
გიჯობსთ ორნივ თქვენთვის იყოთ განუწყვეტლით თავთ
სამზღვარი.

უპასუხეს: შენ ფრინველთა თვს მეგზურის რაჲ ჩვე-
ნოდენ,
ჩვენ მათი ვართ, ერთი მოდგმარე დაამტკიცებს
ჩვენნი ფერნი:
ვითა ფრინველთა გული ჩვენცა გვაქუს, ერთისა მფრინველი,
ერთის ცისფერი,
დაიჯერე რო არიან, თუმცა გულთ იგონ მფრინველთა
მტერნი. —

ჩხიკვმან შესძინა ქადილი, ყვარა საკსუ ხელობითი,
ოსტატად მეფრინველი ყესფერობდა, მეკეთვნის ესე
მცველობით,

ჭას გვიულოვს მავთ არწივი მის სიმძიმის მსჯდე-ლობით,
უჯავრეც თანა გუაკვს, მას ზედა შემწედ ჩართავ მკულობით,

არწივმან ჭოს ჩხიკვ-ყვავ- ბუს, ომობა დაიდას-ტურა,
აღფრინდა, და გამგზავრდა, მათ ახლო-ისადგურა,
მესთავალა გიჯობს მშვიდობა, მტრულთ მიეც თჳს სადგურა,
ჭრივის განმეორებით, იგი არ დაიმდურა.

უბრობენ ჩხიკვი და ყვავი უხვს ზადუხულს და ჭარესა
განდადებულნი საკვნკით, უხმობენ ყოველთ მდარესა,
არა მეფიქრობენ ზამთრისთჳს მდგომარეობასა ჯარესსა,
ბვიხიდავს გაცინებულნი გედნენ ყივანსა გარესა.

ზაფხულით იყო ჭოს ჩხიკვთ, ყვავთ-ბუს არწ[illegible] მ[illegible]
რომობისათჳს ბუს ზარფლით დაეწყვნენ და[illegible]
ვგოდნათ მეუმინებდნენ, მათებრს გაიენსა და[illegible]
არწივის ფრთეთ ძალით და დაბნდნენ, ბუის წ[illegible] და[illegible]

ბუის ლონე დავსრულდა, ჭოს არწივმან უფრთა გამდა,

სჯობდათ მტრეულთ ხის მიცემა მწერთა ოში მოუშალდა,
დაინახა ოსტატობა მათი დიდად აუშალა,
გაწრა მაზე მათგან ბმული გვერდს დიანით გვერ მო-
შალდა.

ბუს უთხრეს შეეშინდნენა, ვერ იცნობ ჩვენსა
მადასა,
არწივი ოსტატობითა ჩვენითა იხამს მადასა,
დაუძლეურდება ხავს დასდებს, დასტევებს მტრეულთა
გვარასა.
მჭედლის სამეფოსაც ქედთ მოგცემს. ამას თუ არა
იქმს, მარასა.

გაწრა იცა ბუო რა ჰქმენ, შენი მწერი შენვე
გვიძმე,
მოწყვნილის ზამთრისათვის, შენს თბილს სამყოფს
შეგვიხიზნე,
საკვენკითა შენით ტკბილით, მორთით მოსულთ გვიმას-
პინძლე,
მტერსა შენსა გაზაფხულით ვებრძოლოთ ვექმნათ შენ
ბუს-წილ მძლე.

ბუა შესწუხდა, დაუძახა ხელდებულ თვისსა ხად-
ვურსა,
უცხოთგან მის წილ შეცულსა, მწერთაგან აოხრე-
ბულსა,
ეხვეწებოდა წადით, მოუწვეველსა მალ-მიღვურსა,
ვერა უშოვა წამალი. ჩსწყევლიდა თვისს ბედ-
გულსა,

მწვთა უთხრეს მოხრეული ვართ შორის გზიდამ შენდა შევლად,
გაბრუნების დროჲ არ გვაქუს გიჯობს შენგა გან-სჳლა გვლად,
შენს სამეუფოს ჩუენ დაგვაგლე, ვიქმნეთ მისდა ერთ-გულ მცველად,
თუმცა ნებით ამას არ იქმ, გიყოფთ მასჳეც რაცა მჳეცლად.

ბუმან ცხადად დაინახა: ეგზომი თჳსი შეცდომა,
ისურვა ჩხიკვის, უვავისა განგება თჳთ დრუსავ ჯდომა,
მაგრამ ადგილი არდა ჰსცეს, უთხრეს სხუა არს ჩუენი ნდობა.
ბჲე გვემერგოთვო სანაცვლოდ, რაც ზიანი მოგვცა ომმა.

დაღონებულმან, საწყალმან, არწივისკენ წარემართა,
უოგეელი ეს მას შესტირა, რაც მოყვასთგან დაემართა,
ჰსთხოვა შენგა შემიბრალე, ადგილი მეც მთათ, ან ბართა,
ვიცი აწ სხჳათ განაფრთხილებს, სმენა მე რაც დამემართა.

არწივმან ბუს მოაგონა, წინ თხრობილი და-რიგება,
არ კი გითხარ; ჩხიკვ-უვავის-გან მეგობრობა არ მეგება,
აბა მითხარ მოყვრობისა მათისაგან ვის აქუს რგება?

აჰ მეწყალევი სამშობლო ხარ, არ გიყვარდეს ნაცვალდე-
გება.

სადგურს შენდა ამიერით იყავნ ღრუბლ მათ ცრუვთა-
შინა,
სადა ცრემლნი არა სხდიან, ნუ თუ კვალად შეგვშინა,
მეუღლეობით იმყოფოდე, სად გეჩინა აჰ შენ ბინა,
არწივისა სულგრძელობით, ბუნს ცრემლნი თვალთა-
ყდინა.

ქნდა მივიქცეთ სადგურსა, სად ჩხიკვნი, ყვავნი
ჩამორბიან,
რომელთ უდაბნის სავენე ბუდესა უხვად ათრობენ,
ერთი ერთისა ლალაცსა, ოთხნივე ჩუმად აზრობენ,
გარნა ხმა მოთნულ, ოსტატად მეგობრობაზედ მაგ-
რობენ.

უგავი ეტევის, საყვარელო ადგილი მშვიდს შენზედ
მეტი,
ბუდე ბრძოლად არწივისა მე ადგმარი ბრძოლვი, რეტი,
შენ ხომ ჩხიკვთ სხვაბრც მარდი ხარ, გაქრუმ ად-
გილიც ჩემზედ მეტი,
ნაცვლად მისსა თუმცა ინებებ, ყოველი გიძღვნა სული
მეტი.

ჩხიკვმან სამოდ უგავისა ვითომ უსწდგის ვალები,
ყოთხრა რაცა ჰკისურს შენია, მე სხვაგანც ვაკე-
მალები,

შეექცევნ ღმრთისა, განცხრომას, მიეგებნენ ვითა მოწყა-
ლებით.
ხანჯალს მარჯვსა ჩაავლო, უყავს ამოკოცნა თვალებით.

მაშინ უთხრა: შენ ომის დროს ორივ ფეხით
შეკულობილობდი,
ყოველსავე გასაჭირსა ოსტატობას ჩუმჩულობდი,
მარცხოდ აგვსა წვიმას, ქარსა, ღამე უოძმლ ვიუ-
ულობდი,
ვით ივერქმე ზუდის სამყოფს შენთჳს მარცოსეულობდი?

ჩხიუვმა რა უვავი განამო თჳსგან, დასცანა აქეუ-
ხო მას ჭკუა თხელი,
მსთქუა ოსტატობად ეყეც მეუოღე, არწივის ზრმო-
ლად სალა მაქუს ველი,
ვის ვაუმეღავს, მისი ომიბა ხხუას მეფრინუმლთვან
არა არს ველი,
ანუ მომრწყვის მხის მეზრომოლის მიზრმანეთ ვინ
არს ჩუცნიდ მნახუმლი.

ჩხიუსი ალუფრინდა, არწივს მირიდა, შორს და-
მალა, განდადებული,
უგავი დადონდა, რა რომ დაღორდა, შეიქმნა ცუდათ
ველადებული,
ნაცვლად მოეგების, იმედოვნების, ჩხიუვმან განამო
დმზრმაებული,
შინ წარემართა, მამულს მიმართა, ეგონა ჰპოვა
ვინმე ერთ-გული.

შენ პასუხი ყვავს მოსთხოვეს: არწივს, რათსთჳს ებმებოდი?
მტრედი რა შენთკერძი არს, ანუ ბუს ვით ებმებოდი,
ნუ თუ ჩხიკვსა შენ ვერ იცნობ, მას შენ ვითა ენდობოდი,
დარსი შენი მიგიღია, რადგან ესრეთ ეთნებოდი.

თ. ირაკლი ლორთქიფანიძე.

27-დეკემბერს 1854 წელსა.
ს. ქვაშხიორს.

## ბერი და დათვი.

მეგობრობა და სიკეთე ჩვენთჳს მარად ძვირფასია;
მარამ ბევრმან არა იცის, თუ ვითარ მოსაქმედია.—
ღმერთმან გვაშოროს მოკეთეს-მეგობარს ბრიყვსა, სულელსა,
ბრიყვი მოკეთე ზოგჯერა მტერზედაც უარესია!

ერთს ქუეყანასა უდაბნოს ბერი მწირობით ცხოვრებდა,
ამა სოფლიდამ განდეგით ამაოებას შვლტოდა,
განსაცდელთაგან შორს იყო ლოცვიდა და მარხულებდა.
ტყე ქონდა დიდი და ხშირი გარემოს იმა უდაბნოს
და იმა წმინდა ადგილსა არა ცხოველი არა ჰსჩნდა,
და მხოლოდ ფრინველთ გალობა ზოგჯერა ძლივღა ისმოდა.—

მარამა მაინც მოხწყინდა იმ ბერსა მარტო მყოფობა
და ერთხელ გარდასასვლელათ დაიწყო დასეირნობა.
იმ ტყისა ჩრდილი და სიო, მყუდროება და შვენება,
და ფოთოლთ წყნარი შრიალი ბერსა მჯრიად მოეწონა. —
ამ დროს დათვი შუა ტყიდამ უცებ მოემგზავრებოდა,
და წმინდა კაცი რა ნახა შეკრთა და წყნარად ვიდოდა;
იახლა ბერსა ზატყვით და სადღამში გადუხსნადა,
ბერმაცა კარგად მიიღო, და იმდენი ხნის განდეგილს
რამა ფერიად, რომ შეხვდა იქა სხვა ვისმე ცხოველსა;
ილაპარაკეს ამბავი და მაშინვე დამეგობრდნენ:
დათვმან შეჰფიცა წრფელად მონება და ერთგულება.
და მერიდგან იმათა დაიწყეს ერთად ცხოვრება. —
ბერი ლოცვიდა, კურთხევდა დათვის სიჩუმეს სიწყ-
ნარეს,
და მისსა ერთგულის სამსახურს მის მორჩილებას
გასასტყურს!
ერთხელა ზაფხულის დღესა ერთად შეექცნენ სადილსა,
და მერმე ბერსა სიცხისგან რა დაეძინა დაღალულს,
მაშინვე დათვი ერთგულად თავსა დაუდგა დარაჯად
და სიცხის გასაგრილებლად ქროლდვიდა სიო
მას წყნარად. —
ამ დროს ეშმაკად და ქაჯად, ბუზი ბერს შუბლსა
დააჯდა,
და მყისვე დათვი შეჯავრდა და ბუზსა ნელად უგერდა
ეშინოდა, რომ ბერს, უცებ არ გაჰღვიძებოდა;
მარამ წყეული ის ბუზი, არ იქნა არა მოშორდა,
და უფრო საწყალსა ბერსა ზედან თვალებზედ დაჰ-
კბენდა.

არ იქნა ვერა ეშველა და დათვი მშიერი შეეხსნეოდა,
ბოლოს წყნარ-წყნარად წამოდგა და დაქადნებით
გავიდა:
მაცადე ბუზო, რა გიყო! დათვი ჩუმად ბუტბუ-
ტებდა. —
რა დიდროანნი ლოდები წინა ფეხებით დაბიძგა,
შუბლს მიებარა ჩუმათა და ბუზს უცებ დაახლა!....
ბუზი გაიფრინდა! ბუზმა კი, — საბრალომ ფეხნი
გაშალა!...

ლუკა ისარლოვი

## მოთხრობა მოგზაურისა.

შემდეგ ხანგრძლივის სიარულისა ჩემისა სხვა და სხვა მხარეს, მივახწიე რა მაღალ მთად, ვიხილე მონასტერი. დამავიწყდნენ ზატიყნი და გულ მხურვალედ გავექანე გაღებულ კარებისაკენ ტაძრისა, არა ცივის გრძნობით მოგზაურისა, არამედ ვითა ჩვილი ყრმა მივარდეს დედის გულსა რძისათვის.

საღამოს ლოცვა გამოვიდა, მზე ჩასვენად მიწურულ იყო, გაცივებული შუქი მისი გრძლად შემოხედებოდა ფანჯრებში, და ახალი საღამოს ზარი შემოქროდა გაღებულს კარებში. ხალხმა იწყო გასვლა ეკკლესიიდამ და მათ შემდგომად გაიჭიმნენ შავით მოსილნი მონასტრის ძმანი. მე ვსდეგ უძრავად,- დაცარიელებული ტაძარი ესე მეჩვენებოდა ისევ დიდებულად-უმზერდი მხატრობათა და აღმოვიკითხავდი წარწერილთა მათზედ, რომლით ვცნობდი, რომელი სურათი რომლის წმინდისა იყო. უეცარმა ჩურჩულმა შემამცნევინა მე, რომ აქ მე არ ვარ მარტო. ამ ეკკლესიის განმარტებულს კუნჭულში ბერი ვინმე წვა და როგორც ეტყობოდა წინააღმდეგი დევილი ებრძოდა მისსა შესვენებას და მისთვის არ დააგვიანებდა გადაბრუნებას, ხან ერთსა და ხან მეორესა მხარეზედ. მისის ვინაობის მოწადემ, შევეცადე დრომდენ. ბოლოს განდეგილი იგი აღსდგა დაჭმუნებულის სახით.

მცნობმა ზარმა, თითქო მიცნა მე, მიუახლოვდით ერთმანეთსა. «შენ ხარ მიხეილ?»

—შენ ხარ გრიგოლ?-ამ სიტყვებით გარდაგმე-ხვიენით.-მე ვიცან მჴცლი ამხანაგი ჩემის სიყრმისა.

«რას ნიშნავს ეგ შენი შავი სამოსელი? რას ნიშნავს ეგ შენი შეუფერობილება და შეღონებული სახე? შენ ხარ იგი მხიარულ, რომელი იყავ სხჳათა შორის ამხანაგთა ჩუენთა საჩინო?

ბერმა ცოტას ხანს არ მომიგო არცა ერთი სი-ტყუა. შემდეგ გულ-მტკივნეულად ამოიოხრა, დამი-ჭირა ჴელი, წამიყვანა თჳს სენაკში და აი რა მიამბო:

«რავდენის წლის უნახაობამ ჩემის სახლისა, გა-ნაღვიძა ჩემში სურვილი წავსულ ვიყავ ამ საჭირო-ებისა თჳს. დავეთხოვე რა სამსახურსა, გავე გზა და მივაღწიე ჩემდა სამყოფად! სახლშიდა ვპოვე ბერი დედა, ფრიად უძლური და უმცროსი ძმა ჩემი, რომლისათჳს ამ ხუთის წლით განვლისა, ისეთი ასაკოვნება მიეცა, რომ თითქმის ვეღარ ვიცან. -ეხლა იქმნებოდა თექვსმეტის წლისა, მშუენიერის სახისა, უცხოს და სანდომიანის უმანკოებრის ზნეობისა. დედამ შემიტკბო სიხარულის ცრემლით, და მისმა მშობლიურმა გრძნობამა მეცა მაცრემლა! რა დავწყ-ნარდით, მან მინაყურობისა და მე ჩემი ამბავი-ერთ-მანეთს შევასმინეთ. ეს ჩემი ძმა ალექსანდრე ასე სასურველი იყო დედისა რომ, წამით სიშორე მისი, შეაშფოთებდა გულსა მოხუცებულისას; იქმნება მისთჳს რომ სიბერის ჟამსა ესღა შერჩომოდა გვერდით? ალე-ქსანდრეც დიდი მასიამოვნებელი იყო დედისა, რო-მელსა არწმუნებდა რომ, სადამდისაც მას ძლენი ექნეს, არ განეშოროს დედის თვალებს. რასაკვირ-

ჯულია ამ გვარი სიტყვები შვილისა, უმეტეს შობდა მოხუცის გულში დედობრივისა გრძნობასა. ხოლო-რა მამამან ჩემმა ნახა ჩემი ბრწყინვალე ემოდღუტები, გაიგონაცა მრავალი ამბები მხედრობის წესისა,- მას დაავიწყდა აღთქმა ესე დედისადმი და ვედრებით სთხოვდა ნებასა, რათა შევიდეს ჯარში. მეც შევაერთე მის თხოვნასა-თანავე ჩემნიცა და გარწმუნებდი დედასა რომ ეს სამსახური მოაწყინებს მამასა ჩემსა ბედნიე-რებაში; ამასთანავე დავპირდი მას, რომ მე ვიქმნები ალექსანდრესი არა თუ ძმა, არამედ მამა. შემდგომად დიდის უარობისა, ერთხელ სადილვათად მიხმო დედამ თავისთან და მითხრა: მე არღა მალომიმს მომატებულად წინააღუდგე თქუენთა თხოვნათა, არცა მსურს რომ ოდესმე შვილთა ჩემთა ბრალეულ მყო-რომ მე უკუვაქციე მომავალი მათზედ ბედნიერებანი წაიყვანე ძმა შენი ალექსანდრე შენთან, გარნა ნუ კი გიხარის მიხეილ, რომ ახე ადვილად გეთანხმე; შენ არ იცი რა ვასუხის გების ჯავჯვით გვრავს: მე რომ ესრედ მოხუცი და უძლური არ ვიყო თან გამოგყვებოდით, მარამ მე სად შემიძლიან თქუენი დევნა,- შენ კარგად იცი, ან ვითა შენ გამიზრდიხარ და ან ალექსანდრე. მე ზოგი-ერთ დედასავით არა მქონია თქუენზედ ცივი გული, გამიგონე; ამ მოხუცების დროს ეს ორნიღა შემრჩომიხართ, წარსულთ მწუხარებას ნუღარ განმიახლებთ; შენი ძმა ალექსანდრე ჯერეთ ყრმაა, თჳთ არ უწყის რა უნდა; არ იცნობს ხალხთა და ქვეყანასა, ხოლო შენ მიხეილ, ვგონებ გარდახვედ იმ სამხედრეარს, ოდესცა

უმაწვილობის ქარით თავი სავსე გქონდა და არცა ერთი მას შინა საკუთარი და სასარგებლო მიზეზი არ იპოებოდა? ეხლა შენი უმრწემესი ძმა არის ამ სახით. შენ განუყრელად გქონდეს მაზედ ფრთხილი ფიქრი და ყურადღება, დაარიგებდე; ჯერეთ დიდი ხანი იქმნება საჭიროდ შენი წინამძღრობა. გაუ-ფრთხილდი შენს თავს და გაუფრთხილდიცა ამას. მე შენგან არა ვითარსა თავის მართლებასა არ შევიწყნა-რებ, რასაც ალექსანდრე დააშავებს, შენ იქმნები დამნაშავე ჩემ წინაშე. შენ შორს მხედავი ხარ, წინასწარ აუწყებდე, და ცუდ-უბრალოდ თუ აუტყდა რამე შენვე მომეც პასუხი. გაფრთხილდით, გაფრთ-ხილდით და ეცადენით ვედრისო. მკუდარი თქუენის მუჭით მიწის მოყრას!... ეს სიტყვები თითქო ეხლაც მესმის! მე დარწმუნებული ვიყავ ჩემზედ, რომ ეს დედის თხოვნა აღსრულდებოდა ჩემგან წადილისამებრ მისისა და ვეტყოდი ზენარობით რომ უმეტეს ჩემისა თავისა გაუფრთხილდე ჩემ ძმა ალექსანდრეს.-რა წასასვლელად დავემზადენით, გადამეხვია დედა და დამკოცნა, შემდეგ ალექსანდრეს მოეხვია, ძლივს გავყარე, ცრემლეოდა საბრალო დედა და აღგუპატრია ჩუენცა; მისნი აღელვებულნი ცრემლნი დაგვდიოდა გულზედ ორთა ძმათა! ჩემი ძმა ალექსანდრე უგრძ-ნობი ჩავაწვინე საჯდომში დედის გაყრით გული ამოისკვნა და ვითა ახალ გაუენებული რძისაგან ყრმა, ქვით-ქვითებდა,-უკანასკნელ მოდგა მოხუცი დედა საჯდომის კართან, ლოცვა კურთხევა წარგვა-ცანა, კვალად გაათანისთანა ვედრება და ბოლოს

მიახრა: ახლა შენ იცი დედის იმედოო!!... მინამ თვალთაგან მივეფარებოდით გვიმზერდა იგი, ვერეთვა ჩვენა, და რა გაუჩინარდით, გულ მწუხარენი გავუდგენით ჩვენ- ჩვენსა გზასა.

მე არ შემეძლო ჩივილი ალექსანდრეზედ; თუცა ცოტად ქარიანი იყო, გარნა წმინდად დაიცვავდა ქალწულებასა სულისა თვისასა, რომელი ამ ჟამად შორის ყმაწვილკაცთა, დიად ძვირია; მცირე რამე გაარისხებდა, მცირე რამე გაამხიარულებდა, როშავდა რაც მოაგონებდა ენას. მხიარულების ჟამს ხტოდა აქეთ-იქით და მცირე წყენით ვერ შეიკავებდა ცრემლთა. ხანდიხან მრთელს საათს ჰსდევდა გიშერასა, პატარა ფინია ძაღლსა; მე მაშინ ვიტყოდი რომ ეს ორნი ერთის ხნისანი იყვნენ, ამად რომ ერთი იყო იმ გვარი ცელქი, როგორც მეორე; მართლადაც გიშერა ასეთი კაპასი და მიუცილებელი იყო, რომ თუ არ დავუბმოდი მეც, არ მიმიშვებდა ახლოს და ალექსანდრეს კი უბელაში ნებას აძლევდა: ხან გულით გაათრევდა; ხან ყურებს გაუწევდა, ხოლო გიშერა ყოველს ამ გვარ ხუმრობას, მიიღებდა ალექსანდრესაგან არა საწყენად. მე მათი მაყურებელი ვკვდებოდი სიცილით და ხან კიდეც ვჯავრობდი უზომო ალექსანდრეს სიცელქეზედ. მარამ სწორე გითხრა ყმაწვილს მომწონდა ყმაწვილური სიცელქე ალექსანდრესი, ვიდრე ამ წელში სხვათ სიბრძნე. მე გავაცან მას მრავალი ხალხი, ხშირად დამყვანდა მათში; უცხო მოთამაშე იყო და როგორც მოდან გითხარ კენარი და მშუენიერის სახისა,-ამისათვს

ქალები, რადგან მიიღებდნენ მას ბაშვად, ეტრფია-ლებოდენ უმოწყალოდ, გარნა ალექსანდრე, რო-გორც იტყვიან ცოტა ქეჩემ-ქეჩემა იყო, ეს კი არავის არშიყობაზედ არ ხუმრობდა!.... მე ვსიამოვნებდი ალექსანდრეთი და ვუმზერდი მას, ვითა მამა შვილსა.

«ბოლოს ალექსანდრეს მოუყვდა ჩინი. გამოხატუა მისის მხიარულებისა არ შეიძლებოდა, მარად სარკის წინ ტრიალებდა, ხან ერთის და ხან მეორის მხრით რომ უმჯობეს დაენახა თვისი ეპოლეტები; მერმე ხან მე გადმეხვეოდა დამკოცნიდა, ხან მღეროდა და ხან გიშერას ათრევდა ფეხებით; შენ იცი გიშერავ, ეტყოდა იგი, რომ მე ეხლა ვარ აფიცერი? გესმის შენ ესა?-იცი ეხლა, შენ ირბენ ჩემთან, უფალ აფიცერთან... თითქო გიშერასაც ესმოდა ამის ლაპარაკი. კუდს ულაქუცებდა და პასუხს უგებდა ალექსანდრეს მაღლის წკავწკავით. ეს სიტყვები ალე-ქსანდრესი, ჯერაც ახალია ჩემს გულში, »-მოგონებით ცრემლი ჩამოსცვივდა წამწამთაგან ბერსა,-მან ღრმად ამოიოხრა, მისთვის თუ, რომ შეეკრიბოს თვისი ჰაზრი და ბოლოს ისევ განაგრძელა:

«ჩუენ მეზობლად იდგა ერთი ჩუენთა მეგობართაგანი პატარკაციძე. კაცი ესე თუცა არ იყო უჭკუო, გარნა ესდენ მოუხერხებელი, უსიამოვნოს სახისა, ქუში და მეიჯე, რომ უმეტეს ამ უკანასკნელის ხვაშიათისათვის, არა მცირად აიგდებდენ მასხარად და დასცინოდენ ამხანაგნი თვისნი. პატარკაციძე ამ დაცინვებს ყველათაგან მიიღებდა გულგრილად და ოდესმე ჭკვიანურის სიტყვით მოიშორებდა თვისთა

ამხანაგთა, და ოდესცა მათთან თჳთცა ვცინოდა თჳს-ზედ რასაკვირველია ეს მდგომარეობა პატარკაციძეს ფრიად აწუხებდა. ცდილობდა რომ დაეფარა თჳსი წყრომა ამ საგანზედ, და როგორც ჰსჩანდა მოითმა-ნებდა ყოველს დროის ძიებას რომ არ დაეკარგა მაინც და მაინც თჳსი ღირსება მეტყველი ღიმილით, რომ მისსა სიმრთელესა არ უხდება გაჯავრება. რომლისამე დროიდგან შევნიშნე ძმა ჩემი, რომ ეს უფრორე სხუათა დასცინის პატარკაციძეს. მე ამის მოქმედებას არ მივაპყრობდი განსაკუთრებითსა ყურადღებასა, ამად რომ დაცინება პატარკაცისა, თითქო მიგვეღო ერთობ, ჩუეულებად.-დაცინების მიზეზი ჩემი ძმისაგანაც ეს თუძრე იყო, როგორც შევიგებ შემდეგ რომ ძმა ჩემი ეჭვიანობდა პატრ-კაციძეს ერთის მშუენიერის ქალზედ და ამ ქალის თავის განურჩეველის თუალებით, ეს საძაგელი და საზიზღარი პატარკაციძე უმეტეს მოსწონდა, ვიდრე ჩემი ტკბი-ლად მოუბარი და მშუენიერი ცქვიტი ძმა!—ეს ორნი რაინდნი დაემტერნენ ერთმანეთსა. დღეს ერთსა ამათ ამხანაგთაგანსა გაემართა პურობა, სადაც ყოფილიყვნენ ეს ორნიცა მიწვეულნი. შუადამე გადავიდა არ შემოვიდა ალექსანდრე შინა, მე მარტო ვსჯექ ოთახში, უეცრად გულმან შფოთვა დამიწყო, გამოვედი სახლიდამ და წარვედ სოფლისაკენ, რომელი იყო სიახლოვეს ჩუენსა; როგორც ეხლა მახსოვს, ღამე იყო ცივი ნათელი; მე სიტკბოებით ვყლაპავდი ახალს ჰაერს, ვსტკბებოდიცა მხედველობით სოფლისა. სახლნი მისნი მისცემოდნენ ტკბილსა ძილსა, ხოლო

განათლებული იყო სახლი, რომელშიაც დაედგათ ნადიმი. ჩემდა მოახრწევდა ხარხარისა და ყიჟინისა ხმა უმაწვილებისა; უცებ სრულებით დაწყნარდა; ამ უეცარს ჩაჩუმებაზედ გულმა ცემა დამიწყო, თითქო მე მომესმა საშინელი უსიამოვნების ხმა,-მოუმატე ბიჯსა და მივმართე იმ ალაგს, სადგ-დანაც გამოკრთებოდა შუქი სანთლისა, რა თავი შევაფარე სანადიმო დერეფანს, წინაგრძნობა ესე ჩემი გამართლდა; კარებში დამხვდა პატარკაციძე ქუდით ხელში, მან არა რა მითხრა, ხოლო იყო შეცვლილი ნარგიზის ფერად და მცირედის ღიმილით ცდილობდა დაეფარა შინაგანი მღელვარება გულსა. მე მაშინათვე სხვათა მითხრეს რაც მომხდარ იყო. ცუდ უბრალო უმაწვილური სიცელქე, რომელი უნდა დაბოლოვებულ იყო სისხლითა....

ი უმაწვილი კაცნი რა ღვინის ძალით შეზარხოშებულ იყვნენ, გაეღოთ ფანჯარა, საკმაოდ მაღლა გამოღებული და ზედ დაღმა თურე ხდებოდენ, ზოგი წაიქცეოდა, ზოგი თავს იტეხდა, გარნა წითლის ღვინის შემწეობით, არარად მიიჩნევდენ; კვალად თოფით თურე იწყეს ნიშნის სროლა, უნდა გითხრა რომ სროლაში ჩემ ძმას? ვერავინ ედრებოდა, კვერცხს შუა გააყოფინებდა! «აბა შენ რაღას უყურებ? ეტყოდა ძმა ჩემი პატარკაციძეს, დაცინებითის ღიმილით.

—მე არა მსურს არცა სროლა და არცა ჩახტომა; უპასუხებდა პატარკაციძე გულგრილად.

«არა! შენ უსაცილოდ უნდა ესროლო ნიშანი.

— მე შენ გეუბნები რომ არა მნებავს.

«შენ არა გნებავს თოფის აღებაო» მიუგო მამამ, განრისხებულმა ბახუსის ძალით, «ამიტომ რომ შენ გეშინიან თოფისა.

— მე არ გირჩევ შენ განიმეორო ეგ სიტყვები. მიუგოდა პატარკაციძე.

საბრალომ ჩემა მამამ თვით არ იცოდა რას ამბობდა და რას სჩადიოდა.

«არამც თუ განვიმეორებ,» შეუძახა პატარკაციძეს, არამედ გეტყვი საღოლმეს, (საღოლმე ის ქალი იყო რომელზედაც ეს ორნი რაყიფობდენ) გეტყვი მას რომ შენი სასურველი, რომელი განუზომლავად სხვაზე მომატებულად გიყვარს, მხდალია! —

პატარკაციძე რაზომ მომთმენი იყო, გარნა ამ სიტყვამ მეტად გული დასწყლა! გაბრაზებულმა სტაცა მკლავში ხელი ჩემს მამასა და შეჰკივლა. როგორ ბედავ გიყო მაგ თქმასა!...

ალექსანდრესი პასუხად ამისა, ხმოვანი სილა იყო!..

აქ რა მექმნა მე? დავამარცხ დამემშვიდებინა რაყიფნი, გარნა როგორ? მამას ვათხოვნინო პატარკაციძისათვის დანაშაულის მოტევება,- რადგან ბრალის უფალი ის იყო,- არ შეიძლებოდა, ამად რომ ასე გამაყებულ იყო ალექსანდრე თავის ეპოლეტებით, რომ არამც თუ პატარკაციძეს, ყეენს სალამს აღარ აძლევდა. თვით ხედავდა მმა რომ საზომს გარდამხდარ იყო, მარამ არ მეიანხმებოდა, ამ შემთხვევით შეეცვალა თვისი ქუშობა დაწყნარებით, და დაეყრა თავი პატარკაციძისათვის, ნიშნად დანაშაულისა თვისისა.

და მეც სწორე გითხრა, ეხლა არ ვიცი და მაშინ კი ეს სიმდაბლე საუკუნოდ მიჩნდა. ხოლო მომივიდა ფიქრი, რომ ამ გვარს შემთხვევას იქმნება ცუდი ბოლო, დავაწყნარე ამაყი გული ჩემი და მივმართე პატარკაციმეს.

რა შევედი მასთან ოთახში, იგი წამოწოლილი იყო მკლავ დაბჯენით, და დიდ დამშვიდებულის სახით სწევდა ჩიბუხს. მისმა სიმშვიდემ მე განმაკვირვა· სალამი მივეც, მან ცივად ჩამომართო!...

«მე მოვედი მოვილაპარაკო თქუენთან.-თქუენ რადგან ხართ კაცი კეთილ გონიერი, თანამდებ-არს ნახოთ ჩემი ძმის დანაშაულობაში, ერთი მხოლოდ ბაშური მისი სიცელქე, რომელიც არა ღირს თქუენ ყურადღებად.»

პატარკაციმემ შემომხედა მე განცვიფრებით. და გაიღიმიდა.

——თქუენ მერწმუნებით, მითხრა მან-მე, უმეტეს ვიდრე სხვა, ვნანობ თქუენის ძმის უზრდელობაზედ, გარნა აშკარად გეუბნებით: უმჯობეს იქმნებოდა, ჯერეთ გეფიქრად საფუძვლიანად და შემდეგ მოსულ იყავით თხოვნად; მითხარით თქუენ თითონ? შესაძლო არს დავტოვო, საგანი ეს უყურადღებოდ?-გთხოვთ ნუ გემცდარებით. წარმოსთქუა პატარკაციმემ, მცირედის გაჯავრებით!....

ამ სიტყვებმა შემიცვალეს ჰაზრი პატარკაცზედ; ვერა რომელმან სიტყვამ ჩემგან ვერ მოამწიფა მისნი მქუახე სიტყვანი ამ საგანზედ, ბოლოს რომ უმეტეს მეგრძნო მისი მოულბილებელი გული, უამბე

დაწყლულებით ჩუენი შინაური გარემოება; გამოთ-ხოვნა დედისა და მისი სიტყვები... მე არ დავიშურე ალექსანდრე, უწოდე მას უბედურობა, ქრისტიანობა და ამათთან წარმოვსთქვიცა სიტყვა: მოკვლება·—

გაიღიმილა პატარკაციძემ და მითხრა: «თქუენ თქუენმაგიერ მთხოვთ მოკვლებას, თუ ძმის მაგიერ?

მე აქ ავირიე და აღარ ვიცოდი რა მეპასუხა პატარკაციძემ დამაკვირდა თვალნი და მითხრა:

«მე კარგად ვიცი თქუენი ამბავი, და ესეც რომ თქუენი ძმა მე არა მთხოვს დანაშაულის მოკვლებასა და არც შეუძლიან რომ მთხოვოს.»

მე ფრიად მენანებით თქუენ და იგიცა. თოჯით გარჯისობას, თჳთ თქუენ უწყით, ჩემს სიცოცხლეში ვშორავდი, ეს კი უნდა მოგახსენოთ, ოდეს გან-საცდელი წინააღმდგომია, მას მე არაოდეს შემკრ-თალი არ მივგებებივარ!... თქუენი ძმა მოჭკვეხს მამაცობით და მე ჯაბნად მიწოდებს, ეხლა შეიტყობს: ვისი თოფი, რომლის დედას აატირებს-და რომელს უწოდებს სადომე მამაცად?... თქუენვე -უწყით რავდენჯერ მოვიშორე ხუმრობით თქუენი ძმის დაცინვა, რომლისათვისცა სხუა ყოველი იყო ჩემს ადგილს, ან შეაკვდებოდა და ან შეიკლავდა, მარამ მე მენანებოდა მის ყმაწვილ-კაცობა და სწორე გითხრათ ჩემი თავიცა,-ამად რომ ამ მოკლეს სოფე-ლში ისეთ მეტი უსიამოვნება, რად შესწირონ კაცმა ცუდ უბრალოდ ფათერაკსა თავი თჳსი? გარნა რადგან საქმე ეს შეეხების პატიოსნებასა, სწორე მოგახსენოთ!... თქუენ თჳთ ბრძანეთ, ეს საგანი რომ

დაუტოვო უყურადღებოდ, როგორც მეუბნებით, ხვალ და ზეგ კარგად იცით სხვა უარყის მიზამს და თითით-საჩვენებელი შევიქმნები, მაშინ მე კარში აღარ გამომესვლება,-უნდა ავიხვიო თვალები და წყალში გადავვარდე. ხოლო მეთანხმებით თქუენ რომ ეს იქმნებოდა წინააღმდეგი ჩემის გონიერებისა. —

მე ამასლა გეტყვით, თქუენდა პატივის საცემლად, უკეთუ გნებავსთ საგანი ესე დაშთეს უყურადღებოდ, მოითხოვოს ძმამა თქუენმა წინაშე ერთობ ამხანაგთა ჩუენთა, დანაშაულის მოტევება,-და თუ არა, როგორც შევპირებულვართ, გამობრძანდეს ხვალ მეიდანზედ და სადომე მარტოს ვის დარჩება გაიგებს!... უფა-ცრავოდ! მე სასაუბროდ მეტი აღარა მცალის. ამ სიტყვებით, მან ცივად თავი დამიკრა და შევიდა მეორეს ოთახში.»

მაშინდელის ჩემის ფიქრით, ამ პირობის მიცემა დია მეძნელებოდა. პირველი იქმნება მისთჳს როგორც ზევით გითხარ, გასაკვირვალად მიჩნდა, რომ ჩემ ძმას მოეთხოვა ბოდიში პატარკაციმისათჳს და მეორედაც პატარკაციმეს ვერ ვჰედავდი ჩემის ძმის მოკამათედ თოფის სროლაში და ამ მიზეზისა გამო დავტოვე უყურადღებოდ ამაყად უბნობა პატარკაციმესი და წამოველ შინ მოიმედეს გულით, მარამ ალექსანდრე რომ ამ შემთხვევას გამოუცდელი იყო, მცირედ შიშის იჭვნეულობაში ვიყავ. რომელსამე მიზეზით ვითანხმე პატარკაციმე მაჩედ რომ პირველ ჩემ ძმას ესროლა თოფი; რა ესრედ შევიპირეთ, უმეტეს იმედი მქონდა. ჩემი ძმა ალექსანდრე შემოვიდა შინა,

გიმშერი მოუხტა წინა მხიარულის ყეფით; ალექსანდრე ცდილობდა გეჩვენებინა ჩემთჳს არარად მიჩნევა ამ წინასწარ ფათერაკისა-და მისთჳს დამშჳდებულის სახით ეთამაშებოდა გიმშერას და სცდილობდა ალერსიანდეულებზე; გარნა მე ვხედავდი შინაგან რომ იყო იგი აღელვებული, უსაცილოდ ამ ყმაწვილის წარმოსდგენოდა სიცოცხლე სრულის გულდუცობით და მისთჳს არ სურდა მისგან გაყრა. მე ვჭვრეტდი მის ახალსა, მშვენიერსა და სანდომიანსა სახესა და გული ჩემი შეისვრებოდა სისხლით. ამ მცირე ხნის მჭვრეტით, მე მომაკლდა ოცი წელი სიცოცხლე.

მცირედის ჟამის შემდგომ, ჩვენ მივედით განწესებულს ადგილს. ამ ფიქრმა, რომ მამა ჩემი, თჳთ მე მივიყვანე მკვლელის ტყვიისა,-დამიკარგა ყოველი ზაზრი დუმილისა და მოქმედებისა; მითომ მსურდა მეჩვენებინა ხალხისათჳს გულგრილობა, რომელსა მოითხოვს ამ გვარი შემთხვევა, მაგრამ სწორე გითხრა ადარ ვიცოდი სად ვიყავ. მოვიდა დრო სროლისა, მე რის ღონითაც იყო შევიკრიბე განბნეული ზაზრი ჩემი, მივედ მამასთან, თოფი გაუსინჯე და დავარიგე დადგნენ ადგილობრივ, მამაჩემი იყო ცივი, ვითა ყინული: მცირედი შესანიშნავი ღიმილი, ჰსჩნდა ბაგეთა მისთა ზედა. შევხედე რა კვალად ალექსანდრეს, ჩემის უნებურობით, შევამჩნიე რომ მას ეკანკალებს ჴელი, რაჲთვინი დაუმიზნდებოდნენ, წყნარად მიუახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ამ განსაცდელის წინა წარმოდგენით, ალექსანდრეს დაავიწყდა სრულებით ჩემი დარიგება-გსროლა მან აჩქარებით-..

პატარკაციძე წაბარბაცდა, მარამ არ წაიქცა, ტყვიამ გაუგლიჯა მარცხენე მხარი.

დაჰფარა რა მან თჳსი ტანჯვა, ანიშნა თითით მოახლოვდეს მას ჩემი ძმა,-ალექსანდრე ათრთოლებულის მუხლებით დაემორჩილა მას!....

ამის მხილველსა დამასხა ცივი ოფლი; მე ვხედავდი როგორ წყნარად მიუახლოვდებოდა პატარკაციძეს ალექსანდრე, ამასაც, როგორც შეაყენა ფეხზედ პატარკაციძემ მკუმთელი ჩახმახი, ვნახეცა მრისხანედ და შეუბრალებელი თვალის დაკვირვება პატარკაციძესი!... აი! მოუახლოვდა იგი; მე გამახსენდა ამ დროს მოხუცი დედა, მისი სიტყვები, ჩემი აღთქმა და მოვედი მდგომიარობასა სიახლოვეს სიგიჟისასა,-თვალთ დამიბნელდა, მე დამავიწყდა სული: პატიოსნებაც, ნამუსიც და პარობაც. მე ამასღა ვიგონებდი, რომ თვალთა ჩემთა წინაშე, მიკვლევნ ძმასა!..

მე ვეღარ მოვითმინე ეს ჟამი, მივარდი ალექსანდრეს, გამოვაყენე აქეთ, მივუშვირე გული და დაუყვირე: «მე მესროლე!...

პატარკაციძემ ჩამოაყენა ქვევით ფეხზედ ჩახმახი, მეტყუმლი, განა ეგ პირობა გქონდა? ხალხმაც გმობა დამიწყეს მე, გამომგლიჯეს ჴელიდამ ჩემი ძმა,-ამ დროს გახმოვანდა თოფი და მისმა შეუბრალებელმა ტყვიამ წააქცია ძმა ჩემი, სიკვდილის პირობაზედ!...

რა გითხრა ძმაო? რა ნაირი ზარი დამეცა თავსა? მე დავუსხლტი შემკავებელთა ჩემთა ჴელთაგან, მივარდი ალექსანდრეს და გონება დაბნეული უცქეროდი

როგორ უბრძოდა ტანჯვასა და ანუ როგორ დახურნენ მშუენიერნი თვალნი მისნა საუკუნოდ!.... ამ დროს გიშერა განუწყვეტილის თოკით, მოიჭრა ამ გასისხლიანებულს ალაგს, შევარდა, ალექსანდრეს შეჰყევდა და ულოკდა ენით დაკოდილსა.

ამ სახემ უმეტეს მაგრძნო. მე გავექანე, ავიტაცე ჴრმალი, რათა მომეკლა ჩემი ძმის მკვლელი, მარამ ვიხილე რომ პატარკაციმე დაედვათ საკაცეზედ, უგონოს გაშმაგებული მეწადა ამ სულთ-ბრძვის დროს მივარდნოდი და ამეკუწნა ფარა-ფარად, გარნა შემიკავეს.... თითქო ძილში შემომესმა გმობა და ლანძღვა ჩემთა თანა მოსამსახურეთა.

ხსენა რაღა გიამბო? ამ უბედურებამ მოუღო ბოლო ჩემს სიცოცხლეს, ერთ-ხანად დავაპირე შინ წასვლა, მარამ რიდას პირით მენახა მოხუცი დედა. მოვინდომე მე, ანუ ომში დამეკარგა ჩემი უხმარი სიცოცხლე ეს, ანუ დავსაფლავებული ვიყავ სიცოცხლით; პირუტყლისა პატიისა ვერ ვუდარსე. აქ შორს ჩემის მშობლის ქვეყანისაგან, არავისგან მცნობი, კიდევ თვალთაგან ცრემლის ღვარსა და თავში ცემით, ვცდილობ შევუსუბუქო მწუხარებას გულსა ჩემსა; მარამ აქამომდე მადევნებენ ღამით საშინელნი ჩვენებანი: მე მეჩვენება ჩემი ძმა ალექსანდრე შეღებილი სისხლითა... დედა, მომაკვდავი მწუხარებით.... და სასმენელთა ჩემთა მოესმისთ საშინელნი სიტყვანი სამუდამო-წყევლისა: «კაენ! სად არის შენი ძმა?...

დავით თაზიევი.

## მოთხრობა პართენისა.

(განგრძელება.)

ოდეს ქაიხოსრომან მოიტაცა სოფია, შეიპყრა იგი და შთასუა ეტლსა, და თჳთცა მასთანვე მჯდომარემან უბრძანა მონათა მჴსწრაფად წარსვლა, და სრბითა მივიდოდნენ ცხენნი, ხოლო გზასა ზედა ეტყოდა ქაიხოსრო სოფიას: ესოდენ ჟამ გზასა ზედა შენსა ვალ და რაზამი სასჯელი გამოვსცადე, შერთჳსა შენისათჳს, გარნა სურვილი ჩემი დაშთებოდა ამაოდ; აწ რომელიმე აფრიკელი კაცი მოითრევდა და მისთჳს კანონდა კელად შექმნილხარ და გსურს შეირთო, მზა-ვარ თავი ჩემი მივსცე სიკუდილად ვიდრემდის წარგიყვანდეს შენ და დამესა ამას ჯერ არს ჩუენდა ქორწინება და ჯუარის-დაწერა; სოფიავ, იუაქრევ რაზამსა ცთომასა შინა ხარ, რამეთუ არა სათნო გიჩნს სამცხისა მთავრის ასულს შერთუაჲ ათაბაგის-ძისა, და რომელსამე უცხოჲსა კაცისა შერთვა განმზრახ-ხარ, ვითარი გონიერება არს. იგი არა თავსიდებს, რათამცა შეუწყუანასა შენსა დაადგრეს და იცხოვროს, უჩუე-ლად მიიქცევა მამულსა თჳსსა და შენცა თან წარგიყვანს, და უნდა სამშობლოს ქუეყნისა შენისაგან დაიკარგო და აოხრებულ-ბუ მამული შენი; ხოლო მე ვიდრე სიკუდილამდე დავადგრები შენთანა და მამულსა შენსა, გეტყჳ შენ, რამეთუ პირუტყუნი მე უნდა მოვჰკუეთდე და შემდეგ უარი უნდა მითხრა.

მაყვარო სოფიამ; მე თუცა ტყუჱ ვარ აწ და კლდეთა შინა შენთა შეპყრობილი, მოკუდავცა ჩემი შენზედან დამოეკიდების და სიცოცხლეცა; გარნა უწყოდე სარწმუნოდ, რამეთუ მე მზა ვარ სასიკვდილოდ, ხოლო ნების მოცემა განზრახვისა შენისა აღსრულებისათჳს ყოვლადვე შეუძლებელ არს: ჰრქუა ქაიხოსრო. მაშა არცა ცოცხალი დაშთები უკეთუ ეგრეთ მიბრჯნილ ჰყოფ თავსა შენსა, მიყვარო სოფია, წინადვე მოგახსენე. ყოვლისავე სასჯელის მოგებად ჩემდამო შემძლებელ ხარ, გარნა შერთვისა შენისა და ჯუარისა-დაწერისათჳს ჩემ მიერ თანხმობას ვერაოდეს ვერ ისმენ. ვინათგან გული ჩემი აღრევე მიცემულ არს, და იწყო ტირილი სოფიამ.

შემდგომად მრავლისა სლჳსა, მოიწივნენ ქალაქსა აწყურს: მაშინ ქაიხოსრო ეტყოდა სოფიას, აღარჩიე ერთი ორთაგანი: ანუ წარვიდეთ ეკკლესიად და ჯუარი დავიწეროთ, ანუ აწვე თანამდებ ხარ წარსულად ციხესა მას და მუნ პატიმარყოფად შენი ვიდრე სიკუდილამდე. უკეთუ არა მორჩილ ექმნე! მაყვარო სოფიაო: ნება თქუენი არს. აღრევე მოგახსენე, ჩემ მიერ ჯუარის დაწერის ნებისა-მოცემა შეუძლებელ არს. გნებავს მიმავალთა ციხესა და რაოდცა სასჯელისა ყოფად გენებოსთ ჰყავ, და უკეთუ გნებავს უბრძანე და აწვე თავი მომკვეთე და ამით სრულ ჰყავ სასჯელი ჩემი; არცა მაშინ მოგცემ ნებასა უკეთუ თავი პარტიენისა შენსა წინაშე მოვაკლებინო მოკვეთილი? ეტყოდა ქაიხოსრო მაყვარო სოფიაო: გეფიცები ყოვლის შემოქმედსა, რათამცა უწყოდე სრულიად,

მყის მიხილა, მეცა მასთანვე მკჳდარსა. მაშინ განრისხდა ქაიხოსრო და უბრძანა მსახურთა შებორკილებად სოფიასი და შეყვანება ციხესა და მძიმესა ჯაჭვისა დადება ქედსა ზედან და გუშაგთა დადგინება და ცვაჲ მისი.

ან კუალადვე მოვიდეთ ჩემის წარმოსვლის ჟამისადმი: მეორეს დღე, განვემზადენით მე და გორჯასპი და წარმოვედით სამცხეს; ოდეს მოვიწიენით ანჩეთს, გვესმა ჰამბავი ქაიხოსროს მიერ სოფიას დაპატიმარებისა აწყურის ციხესა; მუნ არღარა დადგრომილნი და მსწრაფლის სვლით წარმოსრულნი მოვედით სლესას და მუნ დავადგერით; ვარქუ გორჯასპას მეორისა დღისათჳს განმზადება კაცთა: მაშინ უეცრ შემემთხჳა კაცი პერმენი, მიმავალი სამთავროსა ჩემისასა, ამისთჳს ფრიად მოხარულმან, რამეთუ მაქუნდა მე ჟამი სარწმუნოდ მამასა ჩემისადმი წერილის მიტანისა, დამჯდა მას დავჯედ და მივსწერე მამასა ჩემსა წერილი ესე:

## უძვირფასესო მამაო!

ოდეს წარმოვედ სიციონიით, მოვიწიე ქვეყანასა უცხოთასა, ქალაქსა, რომელსა უწოდებენ შუენიერსა სამართლადცა სახელდებულსა, ვინადგან არს ყოვლითავე შუენიერ და კეთილ, ჰაეროვანი, და მდებარეობითა უცხო, განკჳრვებული მოხილვასა ქალაქსა მას, და შემდეგ მცირედის დროისა მუნ-ყოფასა შინა, კუალადვე მოქცევასა მამულად: გარნა წინად-უხილავმან შემთხუევამან მოაწია ჩემდა ფრიადი

განსაცდელი და მწუხარებაჲ, რომლისაცა გამოცხადებისათჳს წინაშე თქუენის უმაღლესობისა, რაოდენ მეშინის, ეგოდენ და უმეტეს მრცხუენისცა; ხოლო უძჳრფასესო მშობელო! თავსა ჩემსა ვჰრაცხ უბადრუკად, რომელი მიუცილებელადცა არს თანა-წარხდომად არს ჩემდა, უკეთუ დავჰფარავ თქუენგან, მას და ყოველსა გულის ჩემისა საიდუმლოსა: მოულოდნელად შემემთხჳა ერთის რომელისამე ურმა ქალისა ხილვაჲ, ქალი იგი იყო სამცხრის მთავრის ასპარისა, რომელი დაშთა შემდეგ მამისა თჳსისა მხოლოობით მემკჳდრედ ყოველსა მონაგებსა მისსა ზედა, ერთოდენ მარტოდ დედაჲ ჰყვის, ჰქონან ფერადნი ყმანი და მამულნი და ურიცხჳ სიმდიდრეჲ, რომლისაცა დაწულილებითი აღწერად ვერ შემძლებელ-ვარ: მხედრმან ჩემმან შეამთხია ბადესა სიყუვარულისასა, გავჰბედავ უძჳრფასესო მშობელო მოვახსენო! რამეთუ დავიწინდეცა ქალსა მას ზედა, სახელად ეწოდებოდა სოფია: პირველ მოხელჳსა ჩემისა ქუეყანისა ამის, აშიკად ეყუე შეჰქმნოდა ყუარყუარე ათაბაგის ძეჲ ქაიხოსრო, ჯავახუკა ახოვანი, და ჰაეროვანი. გარნა ქალსა მას არა სათნოჳნდა შერთვაჲ მისი და არცა დედასა მისსა სურდა; ამისთჳს მტერ იყო კაცი იგი, და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა მოტაცებისა მისისათჳს.

ხოლო ოდეს დავიწინდე ქალსა მას ზედა, მეორეს ღამეს შურით აღბორგებული იგი დაესხა სპითა სახლსა მას, სადაცა იდგა ქალი იგი დედით თჳსით, და წარიტაცა და ისწრაფა წარყუანებაჲ მისი მამულსა

თჳსსა. მე უკუე წარმოვედ მომდევნად ქალისა მას,, მოვიწიე რა სამცხრის ქალაქსა სოფლისა, შემემთხვა კაცი ესე, რომელმანცა მაუწყა ყოველივე ჭირნახე ქალისა მის, ვითარმედ პატიმარ-ქმნილ არს ცოლისა აწყურისასა ქაიხოსროს მიერ: კაცი ესე მოვიდოდა ქუეყანასა ჩუენსა, ამისთჳს ჩუმად თანასდევნად შევურაცხე მორთმევა თქუენის უმაღლესობისადმი უქუემშევრდომილესის წერილისა. დარწმუნებულმან ვინადგან მამობრივი გული თქუენი მოწყალედ იქმ-ნებოდა ჰამბისა ჩუმისა სმენისათჳს: ხოლო მე ვჰგვემ მადლითა შემომქმედისათა უცნაურად და მრთლად უკეთუ განმართნეს ღმერთი საქმესა ამას, რომ-ლისაცა ასრულებისა წინამაქს შესრულებად: უწყალო სტო მამაო! მიიღე ძესა გულით ტკბილად და მაქო-რებულსა, მაშინღა ნუ, უკეთუ მომანიჭეს ზეგ რო-დამო მაღლი ტკბოსა მის კსნასა, რათამცა ვიქმნე წინაო და მასითურთ მოვიქცე აშენებად უფროსთა თქუენთა; მასთანვე წარმომივლინე მამობრივი კურთხევაცა შენი, რომელი იქმნეს დასაყრდნობელად ბედნიერე-ბისა ჩემისა.

უქუემშევრდომილესი მეჲ პართენი.

და ვითარცა წერილი იგი მივეც კაცსა მას, გამგე-ბელ პირის-პირ მირთმევისათჳს მისისა მამისა ჩემი-სადმი: ხოლო მეორეს დღეს განვემზადენით აწყუ-რად წარსლვისათჳს, გოგჯასპიმანაცა მოიყვანნა აღრჩეულნი და მკვრივნი ჭაბუკნი, შეჭურვილნი

სასომარის იარაღითა: წარვემართენით და მასწრაფლითა კოსტას დავიმანავეთ: ხოლო მე შევიმოსე უბრალო სამოსელი და წარკვეთი ღამესა მას, შევედ ქალაქად ანუ არს, განვედ ახლოს ციხისა და ვიხილენ გუშაგნი ციხისანი მღვომარენი ბჭეთათანა, ვჰკითხე მათ, ვინ არს ოქროსნ მოწრის თავი ციხისა, მარწყუნეს კაცი პატიოსანი ჰაეროვნებითა და მოხუცებულისა წელთა მიწევნილი. მოვედ მისდა და თაყუანისცემა და ვიორჩე შევიმეხულა, მარქუა: ვინა ხარ მმაო და სად მოსრული. მე მივუგე სამცხელი კაცი გახლავარ, და ოქროსნიდან ვიხილე, საღმრთოდ მოსახსენებელი რაიმე მაქუს, ნება მიბოძე მცირეს ხანს ოქროსნიდან საუბრობისა; მარქუა, მოდი მმაო. რა გნებავს ჰკითხე და შეიტყე ესე საქმესა: მაშინ ვიწყე ტირილი, რომელმან ხმა განაცვიფრა კაცი იგი, ვუთხარ: გარდაცვლა ღმრთისა ცოდვილთა და მკუდართასა, ნუ დაიურვებთ ჩემგან, მარქუ ვისა ჰსცავთ ციხესა ამას ან? მაშინ კაცმან მან ციხის თავმან მჰრქუა, მმაო, ვინა ხარ, და რად ვერ მწუხარებით მკითხავ, მიუგე შემიწყალე მეტყუი ვის ჰყვეს ჰსცავთ, მაშინ თვალეულად გამოვაცხადებ მწუხარებისა ჩემისა მიზეზსა; მჰრქუა კაცმან მმაო, შიშითა საყუარლისათა აღვსრულებულარს ჩემდა გამოცხადება ჩუენ მიერ ცულთა მფრობილთათჳს, გარნა ვინაიდგან მაყვიცებ და გხედავ ესრეთ მწუხარედ და მხურვალითა გულითა მთხოვლად, გეტყვი ჭეშმარიტსა, გარნა ეკრძალე, რათა არავინ ჰსცნას ესე შენ მიერ, რამეთუ თუის მიეცხლენის სიცოცხლეზე შენი და ჩუენცა ყოველნი ვერ განვე-

რებით სიკუდილისა: ამისთჳს ფიცით აღუთქმიდი მას და ვეტყოდი, რამეთუ თქმული მის მიერ დაშთების მხოლოდ ორთა მათ გუამთა შორის, და თავსაცა ჩემსა შევჰრაცხ თანამდებად სიკუდილისა, უკეთუ ჩემ მიერ საცნაურ იქმნეს ესე.

მაშინ კაცმან მან მითხრა, მამა მთავრისა ჩუენისა მეფმან ქაიხოსრომ მოიტაცა შუენიერი ასული მესხთა მთავრის ასპარისა, და ვინადგან არა ეთანხმა შერთჳასა ზედან მისსა ცოლად, ამისთჳს პატიმარ-ყო იგი ციხესა ამას და შებორკილებული დატჳრთულ არს მძიმითა ჯაჭჳთა, და ესოდენ მკაცრად დაცულ არს, რამეთუ ესე ერთი უკუჱ თუჱ არს, ვინადგან არა უხილავს მას არცა ცაჲ და არცა ქუეყანა, და განდებულ არს ნამეტნავის მწუხარებით და ტირილით, კნინღა მიიწყუის სიკუდილად.

მესმა რა კაცის მისგან, ვიცემდი თავსა და პირსა და ვსტიროდი ცხარის ცრემლით; მაშინ მომდრეკილი მუხლთა დავვარდი წინაშე და ვჰარქუ, მამაო, მიიღე ჩემგან რაჲცა გსურს და მიჩუენე ქალი იგი, მომიგო. რაჲსა მეტყჳ მე ჭაბუკო, და ანუ ვინ ხარ, და რომლის სახით განიზრახავ რათამცა იხილო იგი ოდეს ბრძანებულ არს მამითა სიკუდილისათა, რათა კჳრაში ერთგზის განვაღოთ კარნი საპყრობილისა მის და მივსცემდეთ ქალს მას მცირედსა პურსა და წყალსა, ხოლო კარნი იგი არიან დაბეჭდილ ბეჭდითა მთავრისათა; აწ უკუჱ განიზრახე ვითარ მალღვიძს რათამცა გიჩუენოთ იგი. ვჰსცან რა ესე ყოველი კაცისა მისგან, დავჰკარგე მეცა სისოცხლე

ჩემი, უკეთუმცა არა განმკრთობილ-მექმნა თავი ჩემი სხვითა იმედითა, ვარნა ტირილით კუალადცა ვეტყოდი, გაფიცებ ღმერთსა, უკეთუ არ მაჩუენებ ქალსა მას, მაშა წერილი მიეც სადითმე, რომლითაცა მცირედრე განვუსუენოთ ვნებულსა სულსა მისსა, კუალადცა დ ვჰხ-მანე, მმაო უკეთუ თანაგმა მექმნე თხოვნასა ჩემსა ზედა, მაშინ აღვავსო ყოველითა კეთილითა დ სიუ-ხჳთა ნიჭთათა, მდიდარ-ვყო ესრეთ, რამეთუ შენებრ მდიდარი სათაბაგოსა შინა არავინ იყოს, დ ვყო მთაურად ასპარის სახლსა ზედა, დ განაგებდე მას სურვილისა შენისამებრ, უკეთუ მიჩუენო სამყოფლობა ესრეთი, რომლითა ვიხსნა უბრალო დ უბიწო ქალი იგი, დ შენცა ჩუენთანუე წარმოხვიდე, უკეთუ აღა-სრულო ვედრი ჩემი, გეფიცები მას, რომლისათჳსაცა იტანჯების გული ჩემი, რამეთუ ვნიდა ნახევარი ქალაქისა მის საუნჯისა მოგანიჭო; უწყი მმაო რამეთუ არს აგი ასული დიდებულისა დ მრავლისა ცხოვრებისა მქონი, არა რაჲმე დავზოგო ჯილდოდ კეთილ მოქმედებათა შენთა თჳს მაშინ მოიხედა კაცმან მან დ მიიხრა. მიკჳრს ჭაბუკო! რამეთუ ფრიად კეთილად უწყობ, სახისაგან შენისა ვჰცნობ, რამეთუ დიდის კაცისაცა შვილი ხარ. ხოლო საუ-ბართა შენთაგან დამტკიცდების, უბუნჳრება დ უმეცრობაჲ შენი; მიხედე რაოდენნი უკუე კაცნი არიან გარდა ჩემსა მცუელად, თუცა მე ვარ მთავარი მათი, გარნა მუნამდე, არ მომცემენ ნებასა, რათამცა ესე ვითარითა მზაკუარებითა ვიხელოვნო, დ უსათუოდ ერთსა რომელსამე უმეცრებისა ცჳლილებისა ჟამსა

დაასრულებენ სიცოცხლესაცა ჩემსა; ხოლო რაჲცა თჳს ეგჳს წიგნის მიტანასა და მისდა მიცემას, მაგისათჳს მალიმიძს გმსახურო და აღვასრულოცა; მიუგე კაცსა მას, მაშა რომლის შეიძლება წიგნის მიტანა, და მისცემთა მას პასუხისა მის მოცემის ნებას? მითხრა კაცმან მან, შენ წიგნი დასწერე მომიტანე და პასუხის მოცემისათჳს ნუ ზრუნავ, მაგისათჳს მე ვუწუო, ვითარის სახით გამოვართვა პასუხი; მაშინ აღმოვიღე ჯიბით ასი ოქრო და მივეც კაცსა მას და ვარქჳ, ხვალ მოუალ და წიგნსაცა მოვიტან და განვეშორე კაცსა მას.

მოვედ კოხტას და ყოველივე დაწულილებით უამბე გორჯასპის, შეეწუხდა ფრიად და სტიროდა მწარედ; მაშინ მოვიღე ქაღალდი და საწერელი, დავსჯედ და მივსწერე ესრეთ:

## სულისა ჩემისა ყუავილოსო სოფია!

ვაჲ ჩემდა! რამეთუ მესმა შენი ესე ვითარი უბადრუკებათი შეიპყრობაჲ, ჰოი, მე უბედურსა და სჳსა თჳსისაგან მიხდილსა და მოკლებულსა, ვაჲ! დანთქმულსა ჯურღმულსა მწუხარებისა და ვაებისასა, სად ვიყავ მე ყოვლად უბედური დროსა შენ ჩვენდან ჩემდა დასხმისასა. ოდეს მეკუერე იგი მაყვალი მივარტყუმენდა წარმოთქუნ დღეისა შენისათჳს; მიმქონელი შენის პერონუკლოპისა და მასთანვე უმეცარ მოვ- ცჳსა და სასჯელისათჳს, ვიტანჯები ყოველსა წამსა

და გული ჩემი განჰსწონა მახჳლმან გამოუთქმელისა მწუხარებისამან; გმთუჳ შენ საყჳარელო ჩემო, დედამან შენმან მომაკლანა მე და სახლთუხუცესი შენი გორჯასპი მხედრობითა შენის ხსნისა და განთავისუფლებისათჳს, და მოწყვნილნი ახლოს შენსა დაბანაკებულ ვართ, ვჰპოვე ჟამი მარჯუჳე შენდა წიგნის მოწერისა, ამისთჳს ყოვლადვე შემძლებელ ხარ, რათა სრულიად და თჳთოეულად მაცნობო ჰამბავი შენი, მე თჳნიერ შენსა ცოცხალი არაოდეს არ წავალ და სიცოცხლეცა ჩუენი განგჳმზადებიეს ხსნისა შენისა შესაწირავად, და ვასხოვეთ ზეგარდამოისაგან, რათამცა მან განამტკიცოს ძალი ჩუენი შეწევნისათჳს შენისა.

შენი პართენი.

წერილი ესე მიუტანე მეორეს დღეს ციხისთავსა მას და მივეც, რომელმან გამომართუა და მჰრქუა, მეორეს დღეს მისულა მასთან ღრუმალ პასუხისაცა მიღება, მაშინ მოვიქეც და მოვედ ბანაკად ჩუენსა და ველოდი სოფიასაგან პასუხსა.

მეორეს დღეს ადრე ადჳხდე და წარვედ ციხის თავისადმი, მიხილა რა კაცმან მან, მყის მომეგება, აღმოიღო უბით წიგნი და მომცა, მივიღე და თრთოლით განვხსენ და წარმკითხველმან ვჰსცან ესე.

ყმაწვილესო ჩემო პართენ!

გმადლობ ყოვლისა ნუგეშინისცემისა მიზეზსა,

რამეთუ არა დამიტევა მე უკანასკნელთაცა დღეთა ცხოჳრებისა ჩემისათა შენ მიერ ნუგეშინის უცემ-ლად, სულო ჩემო! წერილი შენი მივიღე მრავლის მწუხარებით აღვსილი ჩემის ტყუჱობისა და უბად-რუკებისათჳს, რომლითა მკითხავ მდგომარეობასა ჩემსა; საყუარელო ჩემო! არ ვუწყი, ვით აღვიწერო მდგომარეობაჲ ჩემი, უკეთუ სრულის სიმართლით, მაშინ სარწმუნოდ ვუწყი, რამეთუ ჰამბისა ჩემისა სმენაჲ განჰსწონს, ვითარცა მახჳლი გულსა შენსა და მოვწყლავს, და უკეთუ დავჰფარო შენგან, ამისთჳს-საცა მეშინის, ნუ თუ წერილი ესე იყოს ჩუჱნ შორის უკანასკნელ მოციქულად და ურთი ერთისა ჰამბისა მომთხრობელად, ვინადგან უწყალოსა მის მტანჯუჱლისა ჩემისაგან მომცემიეს ჰაემნად ათორ-მეტი დღეჲ, ჩემ მიერ მისდა გარდაწყუჱტილის პასუხისა მისაღებელად, შევირთავა მას ანუ არა; ხოლო ჰაემნად მოცემულთა დღეთაგან სამნიღა ოდენ დღენი დამშთომიან; ამისთჳს ჩემდა სათანადოდ ვჰრაცხ, რათა გაუწყო შენ უკანასკნელი ანდერძი ჩემი და აჰა თუ რაჲ? საყუარელო ჩემო! მე ვარ პყრობილ ციხესა ამას ერთი მარტოდ ოდენ, დატ-ჳრთული მძიმეთა ჯაჭუჱთა მიერ და ბორკილითა, განღეულ არს სრულიად ხორცი ჩემი რკინათა მათთაგან და იხილუჱბიან შიშუჱლნიცა ძჳალნი ჩემნი, საგებელად მაქჳს ცარიელი მიწაჲ, ხოლო ზემოდამ დასახურავად ერთი ოდენ სართული სახ-ლისა, რომელსა შინა ვიმყოფები, და ვითმე ჳრადსა შიმშილსა, ვინადგან ესე ოც და ათი უკუჱ დღეჲ

არს, რამეთუ გარდა ცარიელისა პურისა და წყალისა არა რაჲმე მიმიღიეს: ვჰმადლობ ყოვლისა შემძლებელსა ღმერთსა და ვჰსასოებ, რათამცა მან განამტკიცოს ძალი ჩემი დადგრომად პირის პირ მძლავრისა მის, და შეუძრეკელად დაიცვას უბიწოება ჩემი, მე სრულიად დამივიწყებიეს სიცოცხლე და არსება ჩემი და არცაღა თუ მცირედ ვზრუნავ მისთჳს გარნა ერთი ოდენ მაქუს საწუხარად და აჰა! რაჲ? რამეთუ თჳნიერ ხილვისა შენისა ვჰკუდები: აწ გევედრები ისმინე ჩემი, სიცოცხლეო ჩემო! მე მტკიცედ ვჰსდგა პაჩრსა ზედა თჳსსა, მაშა მიუცილებელ იქმნების წარწყმედაცა ჩემი და აღსასრული ჩემი სათანადო იქმნება რათამცა შენცა იხილო, ამისთჳს გამცნებ და გევედრები, არა დაუტეო გუამი ჩემი აქა, არამედ წარიღე და დაჰფალ გუჳდარსა მამისა ჩემისათანა სასაფლაოსა წინა-პართა ჩუენთასა, რამეთუ მე არავინ მივის სხუა, გარნა ოდენ ერთისა დედისა, მას უკუჱ შეგვედრებ შენ ვითარცა ძესა მისსა ხოლო მეუღლესა ჩემსა, თუცა ჯერედ შეუღლებელისასა გარნა სულით და გულით შენთანა საუკუნოდ შეერთებულისასა მეუღლობისა კავშირითა: სიცოცხლეო ჩემო! ყოველივე ყმანი და მამულნი ჩემნი შენდა მომინიჭებიეს; გარნა კუალადცა ერთსა გთხოვ, ვინაითგან ხარ ჯერედ ჭაბუკი, თანაგაძს ცოლისა შერთჳაჲ, მაშა შეირთე დედის დისა ჩემისა, ასული ანნა, რომელი შენ პირუტყუელად ჩემთან მოსაუბრედ იხილე და რომელმან მომცა პირუტყუელი ჴაზრი შენის შერთჳსა, გარწმუნებ, უმჯობესსა ქალსა ვერა ჰპოებ

ქუეყანასა ჩუენსა: ამასთანვე გევედრები, მოითმინო აქა, ვიდრემდის მოიწიოდეს განჩინებული ჩემთჳს აღსასრულისა დღეჲ, რათამცა ჰპირუტლ აღსასრულისა ჩემისა დროს ვიქმნე ვითარმე სახით კილუესა შენსა, და მიეუსცეთ ურთიერთსა უკანასკნელი ამბორის ყოფაჲ, ნუ უზომოდ ჰსწუხ ჩემთჳს, ვინაიდგან დღეისა მიერ იყო განსაზღვრებულ უბადრუკებაჲ ესე, მაშა არცა თანა-წარმავლებოდა: ნუ დაივიწყებ შენდა თავშეწირულს სოფიას, და უკეთუ შეიძლებ რათამცა შემოხვდე ციხესა ამას და მიხილო, მაშინ უეჭუ აღსდგებიან დახსნილნი და დამდნარნი ძალნი ჩემნი, და განმტკიცნდეს სიკუდილად მიახლებული სული, და მაშინ გმირებრითა ბიჯითა განვიდე ასპარეზსა აღსასრულისა ჩემისასა, და მით ვარცხვინო უსახურსა მტანჯუელსა ჩემსა.

შენი სოფია.

წარვიკითხე რა წერილი ესე, დავარდი ქუეყანად და შევჰსძახე ჴმითა დიდითა, ვაჲ მე! უბადრუკოთაო, ერთ გზის შენისა სამშობლოსა და ქუეყანისაგან დაითქმულო, და აწ მეორედ უაღრეს უშრეტსა ცეცხლსა შთავარდნილო, ვაჲმე! სოფიავ! სიცოცხლისა ჩემისა განმამტკიცებელო ნუგეშო, და აწ უშრეტის ცეცხლითა და ხორცით განმლეველო, თუალთა ჩემთა ნათლის დამშრეტელო! ვაჲმე უბადრუკმან! რაჲ ვჰყო? ვის მივმართო, ვითარ თავსვიდვა ნარნართა შენთა კოცნათა რგინათა მიერ

დაბმარჯა, ვით ვიტკვირთო, პყრობილებაჲ შენი, ანუ შიმშილი, ანუ წყურვილი, გინა უსაგებლობა და უკანასკნელ სიკუდილი; დამეცენით მთანო და კლდენო, დამთქი ქუეყანაო, მიგლოვეთ მშობელნო, მე პირუტყვი სოფიას სიკუდილისა აღუხოცე სიცოცხლესა ჩემსა. მიეგმე ციხის-თავსა მას და ვუთხარ ტირილით, გავუცევ ყოვლისა შემოქმედსა, და თავსა შენსა და ყოველთა საყვარელთა გულისა შენისათა, ღირს მყავ მე უკანასკნელს ამას ჟამსა რათამცა ვიხილო ნუგეში ცხოვრებისა ჩემისა, გინა ხელითა შენითა აწყუც მომკუეთე თავი. მიიღე ამისთჳს, რაოდენიცა გსურს ჩემგან სასყიდელი და ნუ მოაწყვე ჩემზედ ესე ვითარსა უბადრუკებასა, რათა არა მახილვო თვალითა ჩემითა სოფია, ვიტყვებდი მწარედ და სისხლით შევისვრიდი სახესა თჳსსა, რომელნი გარდმომდინარებდნენ ნაცემისა მისგან ხოლო უკანასკნელ ვიხადე მახვილი და მეგულეწოდა განგმირვაჲ ჩემი, გარნა ყოველთა ამათ ვედრთა და მოთქმათა ჩემთა, ვერცა თუ მცირედ დაალბილებულ ჰყოფს ქუად-ქმნილი გული კაცისა მის ციხის თავისა: დავშთი უსახოდ, უკანასკნელ მივიქეც ბანაკად; წარვგზავნეთვე წერილი სოფიასი გოროჯასპის, მსმენელი მისი მიიწყოდა სიკუდილად და სტიროდა სავალალოს კმით, და მასვე შეუდგებოდნენ სხუანიცა მუნ მყოფნი.

მაშინ ყოველთა ერთ-ხმად შესძახეს, ჩუენდა საკიცხელ-არს, რამეთუ პატრონი ჩუენი არს ესე ვითარსა მწუხარებასა დატყვევებული, თანამდებ-ვართ

რათამცა შევჰსწიროთ მას თავნი ჩუენნი და თჳთ უკანასკნელიცა წუეთი სისხლისა: მეცა ვარქუ, ძმანო ან არს ჟამი თავთა თჳსთა დაუზოგველობისა და ჟამ-არს აწვე მივმართოთ ციხესა და ყოველივე აღვმჴედრდეთ და ერთბამად დავჰსხათ გუშაგთა ციხი-სათა და ყოველნივე განვაბნივნეთ; მაშინ უკუე შევიჭურვენით საომარის იარაღითა და შევსხედით ცხენთა და წარვემართენით, და მივიწიენით რა აწყურს აღვუზახეთ ჴმა მესხური და ერთბამად მივმართეთ, მაშინ მოულოდებულითა ამით ზედ-დასხმითა ჩუენითა მცველნი ციხისანი შეძრწუნებულნი განიბნივნენ, მივმართე თჳთ მე და გორჯასხმიან კარსა საპყრო-ბილისასა, რომელსაცა ცულ-იყო სოფია, შევჰმუს-რეთ კარნი იგი, შევედ შინაგან საპყრობილესა მას ვიხილე სოფია მწოლარე მიწასა ზედა და შეკრული ბორკილითა და ჯაჭვითა მიერ, მყის მივვარდი და შევმუსრე ბორკილი იგი და აღვჰხსენ ჯაჭვიცა ქედი-საგან სოფიისა, აღვადგინე, უპყარ ჴელი და წარმო-ვიყვანე და ვარქუ საყუარელო ჩემო, ნუ თუ გეღარ მიცნობ, რამეთუ ეგრეთ გონება მიხდილ-ხარ, მე ვარ პართენ, სოფია ბგერისაგან ბჭეთა მათ შემუსრვი-რისათა, შეძრწუნებული ეგრეთ ჰგონებდა, ვითარმედ მიუყვანდათ თავის მოსაკლველად ბრძანებითა ქაიხო-სროსითა. იყო იგი გონება მიხდილი შიშითა სიკუდილისათა, და ოდეს ვარქუ სახელი ჩემი, მაშინ მცირედ ცნობასა მოვიდა და შემომხედა მე, მაშინ ვეტყოდი სოფიას, საყუარელო ჩემო! მკნედ იქმენ, რამეთუ გვეშველების ამიერ ლტოლვა და სრბით

ხლდეა: ვიდრემდის ჰსცრობდნენ ჰამბავსა ჩუენსა და შეგვიდგუნოდნენ; მაშინ მჰრქუა სოფია, პართენ ხედავ, ბორკილთა მიერ დაწყლულებულთა ფერხთა ჩემთა, ვითარ მალმიმს ცხენსა ზედა შეჯდომა და ლტოლვჲა; მაშინ გორჯასპიმ მოიყუანა ცხენი და მრქუა ადგს და შენცა შემოჯექ და კელთა იპყარ და ეპყრე გივლტოდეთ, რაბამცა იყო შეგსგი სოფიას ცხენსა და ვივლტოდით ქალაქით, და მსწრაფლის სლვით მოვიწიენით სოფელსა ურავლს, მუნ გარ-დავხდით და მცირედ განვისუენეთ, შეუხვე სოფიას წყლულნი დიდებმან სალბუნთამან, განუმტკიცე ძალი შიმშილით მოუძლურებული, მიმღებელსა საზრდელთა და ღვინისასა, გარნა ხშირად იქმნე-ბოდა შეძრწუნებულ სისუსტისაგან, ხოლო შემდგომად მცირედის ჟამისა წარვემართენით მუნით და მივიწიე-ნით საზღვარსა სამცხისასა და დავხდევით მცირესა სოფელსა და მუნ განვისუენეთ ღამესა მას,

მეორეს დღეს აღსდგა სოფია და მიმოიხედვიდა განღვიძებული ძილისაგან და აღმოიოხრა სიღრმისა-გან გულისა და იტყოდა, გმადლობ სახიერო ღმერთო რამეთუ იხსენ უძლურებაჲ ჩემი კელთაგან მძვინ-ვარეთასა და უსუსურებაჲ ჩემი ყბათაგან ლომთასა, შემდგომად მოიქცა და მრქუა: გმადლობ უსაყუა-რელო მეგობარო ჩემო. მკსნელო მხოლოდ შობ-ლისა და უპატრონოს ასულისაო, მიიღე ჯილდო ახოვნებისა შენისათვის სიცოცხლეჲ ჩემი, და თავი, რომელიცა შენ შეგწირე უკუნისამდე და გიჩრე უკანასკნელს აღმოფშვინამდე; გმადლობ უერთგულე-

სო სახლთუხუცესო გორჯასპი, შენ უკუე აღასრუ-
ლე თანამდები შენი, აწ გუწყი ჭეშმარიტად, რამე-
თუ არა დაგივიწყებიეს მამის ჩემისა დიაწლი და
შენდამო ჩუენებულნი წყალობანი; გმადლობ თქუე-
ნცა ყოველთა მსახურთა და ერთგულთა ყმათა ჩემთა
რომელთა არა დაზოგენით სიცოცხლენი თქუენი
თჳალით სახილავისა სიკუდილისაგან ჴსნისათჳს
ჩემისა; თქუენ ყოველთავე მიგანიჭებ ოცის წლისა
სითარხნეს და თჳთოეულს თქუენგანისათჳს ოც და
ათი თუმანი მიბომებიეს, რომელსაცა აღასრულებს
გორჯასპი შემდეგ მისჳლისა ჩუენისა სლესად:
გორჯასპის მივანიჭებ სოფელსა ტანმიას, მუნ
მოსახლეთა ერითურთ საუკუნო სამკჳდრი მკჳდრად,
ამისთჳსვე გუსთხოვ საყუარელსა ჩემსა პართენს,
მანაცა ესე ყოველი დაამტკიცოს; შენ უკუე სული-
საგან უტკბილესო პართენ, არ ვიცი რაჲ გიძღვნა,
გაძლევ თავსა ჩემსა და ყოველსავე საცხოვრებელსა
და სამთავროსა მამისა ჩემისასა, მშობელსა ჩემსა
დედასა ხვარაშანს რომელისაცა ხარ ძეჲ და პატრო-
ნიცა მისი: აწ გმართებთ არღარა დაყოვნოთ წარ-
სლვაჲ ჩუენი, ვინაჲგან მდევნელი ჩემი უეჭუელად
ჰსცნობდა ჰამბავსა ჩუენსა, და უეჭუელადცა შეგუ-
ვიდგება სპითა, ამისთჳს სათანადო არს მივისწრა-
ფოთ ქალაქსა და მჴედრობაცა განვაწყოთ პირის პირ
მისა: შემდეგ წარვგზავნეთ მახარობელი ხვარაშანის
მიმართ და მივსწერე წიგნი და ყოველივე ზემოწერი-
ლი რაჲცა შეემთხჳა სოფიას, და ჩუენცა წარვემა-
რთენით გზასა.

და ვითარცა მიუვლინეთ ხჳარამანს მახარობელი სოფიას გამოყვანისათჳს პერობილებისაგან, მოვედით ანჩეთს; მაშინ მოიჭრა კაცი, რომელმაცა გვაუწყა ვითარმედ ქაიხოსრო მცნობელი სოფიას ციხით გამოყვანისათჳს და მიტაცებისა ჩუჱნ მიერ, და გუშაგთაცა მოწყუჱდისა. მყის აღმაღლდა შემომკრები რავდენთამე ათასთა ცხენოსანთა და მოსწრაფებით მოვიდოდა; მეუჱსეულად მოვუწოდე სახლთ-უხუცესსა გოდჯასპის და ყოველთავე კაცისა მის მიერ უწყებული ჟამსე — და ვარქუ, გემართებს აწ მკნედ-ყოფა და შეკრება უჭროს ხუთი ათასთა მჴედართა ჭრჩეულთა სამცხისთა და ბრძოლასა შინა გამოცდილთა, რათა ოდეს მოგვეახლოს ქაიხოსრო, განვეწყუნეთ ბრძოლად პირის პირ მისა; ხოლო სოფიას ჭმართებს შევიდეს ციხესა და ელოდეს ბრძოლისა მის დასრულებასა. მაშინ გოდჯასპი მიიქცა გარემო სოფლებთა შორის და შემოკრიბნა ლაშქარნი, გარნა არა უმეტეს სამაათასთა ცხენოსანთა, შევიჭურე მეცა საომარისარაღით; არა მრავალთა ჟამთა შემდგომად ვიხილეთ, რამეთუ გამოჩნდა ლაშქარი ქაიხოსროსი, რომელი მოეახლა ქალაქსა, მაშინ ჩუენცა ქალაქით გასრულნი მივეგებენით და დაუწყეთ ურთიერთსა ცჳორცა ისართა და იქმნა ჯრმლისა და ლახტის ტრიალი, განიგრძო ომი ვიდრე სამს საათამდე და ორისავე მჴრით მოსწყდებოდნენ მრავალნი, თუცა სათაბაგოელნი აღემატებოდნენ სიმრავლითა, გარნა მესხნი მარად გამოცდილნი ბრძოლასა და ახოვანნი ერნი, მძლე ექმნებოდნენ სათაბაგოელთა, შემემთხჳა

ქაიხოსრო ფიცხელად და ამაყად მბრძოლი შორის დასხმთა, მაშინ მიუგდა, ჰი! მაცთურო, ჰგონებდაა თავისა შენისა ჴელთა ჩემთაგან განრინებასა? აწ გამოსცადე მკლავი ჩემი, გამოვედ უკეთუ მამაცხარ პირისპირ ჩემსა და ვებრძოლეთ ურთიერთსა; მაშინ მიეტევე მას და დაგსხი ორნი ისარნი მკართა და გადავარდა ცხენით, მიიჭრა, მზადებოდა თავის მოკვეთად მისა, გარნა მსწრაფლ მოვიდა გორჯასპა და არდარა მიტევა მოკვლად მისდა, არამედ თოკითა შეჰკრა და წარმოიყვანა, მაშინ აღუტევეთ კმა მესხუ-რი დაშქართა ჩუენთა მიმართ, და მიმართეს სათა-ბაგოელთა, და წარიქციეს და პირითა მახვლისათა ჰსდევნიდნენ მათ, ვიდრე ათსუთმეტსა სტადიონსა. ხოლო ქაიხოსრო წარმოვიყვანეთ ქალაქად, და სო-ფიაცა გამოვიდა ციხით და იხილა დაკოდილი იგი და ტყუე ქმნილი; მაშინ ჰკითხა მას, უგუნურო, პირითა შენითა ჰსთქვ, რა უკეთ არს შენდა ყოფად, ქალისა ამის უსამართლოდ და მძვინვარედ მტანჯუელისა? მაშინ ქაიხოსრო მეხლთა მომდრეკელი გვთხოვდა მიტევებასა, ხოლო სოფიამანცა მჰრქუა, მიუტევე მაგას შეცოდებანი და უგუნურებანი მაგისნი, მაშინ ვეტყოდი ქაიხოსროს, გესმის შენდამო მოცემული ნიჭი, ნაცვლად საკუდილისა სოფია მოგანიჭებს ცხოვრებასა და არა ხურს მოგებას ბოროტისა ბოროტისა წილ: ამას ზედა დავარდა ქაიხოსრო მიწად და თაყუანის ცემა, და შეიკურთხდა საშინელის ფიცით, რამეთუ ამიერითგან იქმნების მორჩილი და ერთგული ჩუენი მოყუასი; მაშინ განხსნეს იგი

საკრუელთაგან და განვუტევეთ, მივეცით რავდენიმე კაცნი და წარუმართა მამულსა თჳსსა, ხოლო ჩუენ მუნით წარმოსული მეორეს დღეს მოვიწიენით ქალაქსა შუენიერსა, ვითარცა მივეახლეთ სახლსა, მორბოდა ხვარამან სიხარულით და შეგვეგებოდა ვითარცა ასულსა თჳსსა, ეგრეთვე მეცა, და ამბორს გვყოფდა; შევედით სახლსა სიხარულით და აწ ვიწყეთ ლხინი და განცხრომა; მაშინ მეტყოდა ხვარამან: შვილო პართენ! აწ ნუღარა დააყოვნებთ ქორწილსა თქუენსა! მაშინ მივუგე და ვარქუ: დედაო! ვითხოვ მცირედრე მომითმინოთ, ვიდრე მივიღებდე მამისა ჩემისა მიერ ჩემ მიერ მისდამი სლესით მიწერილის წიგნის პასუხსა; მაშინ ხვარამან დაფიქრდა და მეტყოდა, პართენ! უწყითა სარწმუნოდ, რამეთუ მიიღებთ მამის თქუენის წერილს? უეჭუელად დედაო-დარწმუნებულ ბრძანდებოდეთ: განიზრახეთ, მშობელთ უნებურად ქორწინებას და ცოლის შერთვას რაჲ წარმატება ექმნების?

მსურდა მწუხარედ წარსვლა კვალადვე ჩემს მყუელს სადგომს, გარნა ხვარამან და სოფიამან არღარა განმიტევეს და მეტყოდნენ, სახლიცა შენი არს და ცხოვრებაცა ჩუენი, ამა სახლნი სადაც გსურთ განისვენეთ. მიჩუენეს საკუთარი სადგომი და დავშთი მუნ, მოველოდი მამისა ჩემისაგან წერილსა და პასუხსა ჩემის თხოვნისასა, რომელი შემდგომ ჩვენის მოსვლისა სამცხით, მეოცეს დღეს მოვიდნენ წარმოგზავნილნი მამისა ჩემისაგან ათორმეტნი კაცნი, მომიტანეს ასი ათასი ოქრო და წერილიცა ესე:

## საყუარელო ძეო ჩემო პართენ!

ჩემდა მხცოვან ქმნილისა მამისა შენისათჳს სასიამოვნოდ მისაღები წერილი შენი მოვიღე, რომელიცა მოგვწერა სამცხის ქალაქით სღუსით, ვჰმადლობ უფლისა შემოქმედსა მშჳდობით ყოფისა შენისათჳს, გარნა მიზეზმან შენისა მანდ ყოფისამან მძიმედ უფროჲს დააჭმუნვებულ ჰყო გული ჩემი, ვინადგან შეხუედრილ-ხარ ესე ვითარსა საფრთხესა, რომლისაცა განზრახვსა აღსასრულებლად წინაგიძს ფრიადი ღუაწლი და შიშიცა; ძეო ჩემო! თანამდებ-იყავ რათა ყოველსა შინა შემთხუევასა გქონდა და გაქუნდესცა კრძალულებაჲ, და არა ადჳლად დამორჩილდე გულის თქმისა შენისა ნებასა, და ადჳლ-მოსაცთუნებელსა ორგულობასა გჳამისასა, რომელ არს თჳალი კაცისა. მარადის თანამდებ-არს კაცი, რათა განუშორებლად აქუნდეს გულის-ჴმისყოფაჲ ყოველსა შინა განზრახვასა, და უშორეს იხილვიდეს, თუ რაჲ შეუდგებს მის მიერ წინად განზრახულსა საქმესა. მე არაოდეს არ დავაყენებ მესხთ მთავრის ასულის ცოლად შერთჳსათჳს, გარნა თანამდებ-ხარ და იყავცა გულის-ჴმის ყოფით განგესაჯა, თუ ეგე ვითარსა ცოლის შერთვასა, რაბამი საფრთხე და მწუხარება შეუდგებოდა, მაშინ ოდეს ქალსა მას ჰყუანდა ამიერი სხუა და მდიერი; წარმოგიგზავნი ამასთანვე მსახურთა ჩემთა და სახმარად შენდა ასიათასსა ოქროსა, ამასთანვე გამლევ ნებასცა შერთვისათჳს ცოლისა, უკეთუ ღმერთი მოგცემს შემძლებასა ქალისა მის პოვნისასა

და პყრობილებისა მისისაგან გამოხსნასა. უკეთუ ვერ აღასრულო საწადელი შენი, გთხოვ და გიბრძანებცა! რამეთუ მყის წარმოხვიდე მამულსა შენსა და უფროს ამისა განშორებითა შენითა არა დამაჭმუნო; რაო-დენ შესაძლო იქმნეს მჰსწრაფლ მაუწყე ვითარიცა წარმატებაჲ აქუნდეს წინად-განმზადებულსა დუქანსა შენსა. უკეთუ მიდებამდე წერილისა ამის, დუქანი შენი აღსრულებულ იყოს და სასურველიცა მეუღლე გამოიყვანო პყრობილებისაგან, მაშინ განუცხადე მას ჩუენ მიერ შესაბამი მოკითხვა, და კუალადცა ელოდე ჩემ მიერ წარმოგზავნასა შესაბამთა ნივთთა ქორწინებისა შენისა თჳს. ჩეგარდამომან მაღლმან განაგრძოს დღენი შენნი და მამობრივისაცა კურთ-ხევასა ჩემსა მოგიძღუნი, ვითარცა შვილთ მოყუარე მამაჲ!

მთავარი სპანდიერ.

შემოვიდა ჩემთან ხვარაშან და მკითხა: ვითარი ჰამ-ბავი მიიღე მამისა თქუენისაგან? მშვიდობით ბრ-ძანდება? მაშინ მივეც მას წერილი მამისა ჩემისა და ვრქუ: აჰა ყოველსავე ჰსცნობთ წერილითა ამით, ინებეთ და წარიკითხეთ, გამომართუა წერილი იგი ხვარაშან და შევიდა სახლსა სოფიასასა, წარიკითხეს რა წერილი იგი, დაერწმუნენ ყოველსავე ჩემ-მიერ თქმულსა ზედან; კუალადცა შემოვიდა ხუარაშან ჩემთან და მრქუა, შვილო პართენ! რასა ბრძანებთ, აწ სათანადო არს თქუენ მიერ ჯუარის დაწერა, და

განმზადება საქორწინედ. მე მიუგე, ყოველივე დამოკიდების ნებასა თქუენსა ზედა, უკეთუ მიბრძანებთ მე, მზა ვარ აწვე დავიწერო ჯუარი, მე არა რაჲმედა მაქუს დამაბრკოლებელად. მაშინ ხვარაშან მეტყოდა, მრავალნი მონათესავენი გვყვანან და წარჩინებულის გვარისანი, რომელნი სათანადო არს მოვიწვიოთ, ამისთჳს სახლიცა მოვამზადოთ, ანუ ვისაც თქუენ ისურვებთ და ბრძანებთ, იგინიც ჯერა არს ვიწვიოთო: მე მივუგე: თქუენ კეთილად უწყით, რამეთუ მე ქუეყანასა ამას არცა მეგობარნი და არცა ნათესავნი არა მესხენ, გარნა ერთსა ოდენ ვითხოვ, უკეთუ შესაძლო იქმნების და საწყენად არ მიიღებთ. მჰრქუა ხვარაშან, რასა ბრძანებთ ესრეთსა, რომელიც ჩუენთჳს საწყენად მისაღები იყოს? გინდა გსურთ ბრძანეთ და მოვიწვიოთ. მაშინ მე ვუთხარ, უკეთუ მიბრძანებთ, მეგულვების მოწვევა ქაიხოსრო ათაბაგისა. ამას ზედან განცჳფრებულმან ხვარაშან შეხმასა: ოჰ, რას ამბობ, ქაიხოსროს მე თუალით როგორ განვიცდი, ანუ შემოვიყუან სახლსა ჩემსა ხოჯაის მტანჯუელსა! მივუგე, არა! დედაო! თჳთ ხოჯაიამანვე მიუტევა მას ცთომა თჳსი და სიკუდილისაგანცა იხსნა, იგი შეკრულ არს ერთგულ ჩუენდა მოყუასად. მაშინ მჰრქუა, ნება თქუენია, უკეთუ გსურთ იწვიეთ. მივსწერე წერილი ქაიხოსროს და წარვუგზავნე საკუთარი კაცი ჩემი და მოვიწვიე, რომელი მეორეს დღეს მოვიდა, და ვსთხოვე მას მაყრად ჰყოფა, და მანაც სიხარულით მიიღო იგი: და ვითარცა შემოკრბენ ყოველნი ნათესავნი ხოჯაისნი და

დიდებულნი ქუეყანისა მის; იქმნა ქორწილი ჯე-როანი და დავიწერეთ ჯუარი, დაჳსხეს მდიდრად მემკჳდრსა ტახტსა და მოგვილოცვიდნენ ყოველნი, და იქმნა განცხრომა და ლხინი გამოუთქმელი სამსა შჳდ დღესა; ესრეთ ჩუენ ვიქმენით შეუღლებულნი და ვიხარებდი სასურველითა მით მეუღლითა ჩემითა.

შემდგომად მივსწერე წერილი მამასა ჩემსა, და ყოველივე აღუწერე, რაჲცა შემდგომად წერილისა მისისა შემემთხჳნენ, წარვგზავნე ერთი ჩემთა საკუ-თართაგანი და აღუთქუ, რამეთუ შემდეგ ოთხისა თჳსა წარვიდოდი და სძალსაცა მათსა წარვიყვანდი და გვიხილავდეს იგი ორსავე პალატსა თჳსსა.

განვლეს რა ოთხთა თთუეთა, ვსთხოვე ხვარაზმანს ხოჯიას წარყვანის ნების მოცემა მამულსა ჩემსა და მამისა ჩემისა ხილვად, სადა თანამდებ ვიქმნე-ბოდით დავყოთ ერთი შჳდ წელი და შემდგომად კუალადვე მოვქცეულიყავით სახლსა ხვარაზმანისასა. ამას ზედა ხვარაზმან ფრიად დაჭმუნდა, და იგიცა შევისწავე, რამეთუ ხოჯიაცა არა მხიარულ იქმნა ამისთჳს, გარნა ფარვიდა წინაშე ჩემსა მწუხარებასა თჳსსა და მეტყოდა, რამეთუ ყოველივე ბედნიერება ანუ უბედურება დამოკიდებოდა ნებასა ზედა ჩემსა, და კუალადცა მეტყოდა, ქმენით იგი, რასაცა ითხო-ვდეს პატიოსნება და სარგებლობა თქუენი, მე მზა ვარ ცეცხლსაცა შინა ყოფად შენთანა, და დაწ-ვად. მაშინ გორჯასპის სახლ-ხუცეს და მსახურთა ჩემთა უბრძანე ყოვლის გზის სახმარების განმზადება და დაუნიშნე დღეცა წარსვლისა ჩუენისა სიცოხნიად.

მოიწია რა დანიშნული დღეჲ იგი, გამოვეთხოვე ჩიდელრსა ჩემსა ხვარაშანს, ვითარცა მე, ეგრეთვე ასულიცა თჳსი და წარვედით გზასა. მიწევნილნი შავის ზღჳს კიდესა, ქალაქსა ბათუმს, გამოვეთხოვე გორჯასში სადოთხულესი, რომელი მოგვდევდა თან, ვარწმუნე მას განმგებლობა ყოვლისა სახლისა და მამულთა ჩუენთა, ხოლო ჩუენ შევედით ნავსა, და ქარითა კეთილითა წარვემართენით და არა მრა-ვალთა დღეთა შემდგომად მივიწიენით ნავით-სადგუ-რსა ქალაქის ოდესსისა, განვედით კიდესა და მივავ-ლინე მამისა ჩემისა მიმართ კაცნი და ვაუწყე მისვ-ლისათჳს ჩუენისა; ხოლო ჩუენ წარვემართენით დაწყნარებით; შემდგომ ათისა დღისა შევედით საზღ-ვარსა მამულისა ჩუენისასა, სადაცა მოგვეგებნენ მამისა ჩუენისა მიერ მოვლინებულნი მსახურნი და დიდებულნი სამთავროჲსა ჩუენისანი. მხიარულნი ჩუენისა მიმავლობისანი, მყის ყოველნი გარდასხდ-ნენ ცხენით და მიწამდე თაყუანის-გვცეს და მოგვი-კითხნეს, და სახელითა მამისა ჩემისათა მშჳდობით მისვლისა ჩუენისათჳს სიხარული გამოგვიცხადეს. მივიწიენით ეზოთა ქალაქისათა, მუნ მოგვეგება თჳთ მამაჲ ჩემი დიდებულებითა თჳსითა, და ოდეს მივიწ-წავეთ, მეუსმეულად გარდავხედ მეცა და სოფია. ეტლით და ქუეშ მიწად დავრდომილთა თაყუანისვეცით მამაცა ჩემი გარდასხდა ცხენით, და მიგვიდო წიაღსა თჳსსა მე და მხმალი თჳსი სოფია და ჟერიადის სიყუარულით ამბორის გვიყოფდა და შეგვიტკბობდა, და მრქუა: შჳლო ფართენ! თუცა ვმრისხანებდი

განწირულსა ქცევისა შენისათჳს და მორჩილთა გზათა წარსვლისათჳს. გარნა აღმორჩევა მეუღლისა შენისა ყოველსავე დამავიწყებს, და განვამართლებცა აღმორჩევასა შენსა; მიექცა სოფიას და ჭირქუა; საყუარელო ჴსამლო და ასულო ჩემო, ვმადლობ ზეგარდამოსა მადლსა. ვინადგან მოსცა მესა ჩემსა შვენებრ მეუღლე შუენიერნი, ვითარცა სახით, ეგრეთვე სჳნდისითაცა, რამეთუ ხარ ასული წარჩინებულის მთავრისა და ჴსწორი ღირსებითა მისა ჩემისა, უწყერა ველი სოფიას და წარჰყვედით პალატად: ოდეს შევედით სახლსა და დავსხედით ტახტსა, მაშინ მამა ჩემი ჯე აღდგა და შთამოვიდა ტახტით და ჰსთქუა: ურნო სიცოცხლისანო, მე სამეოც და ათთა წელთა შემდეგ მამისა ჩემისა განვაგებდი სამთავროსა ჩუენსა, რომლისა დაცვისათჳს არა ერთგზის მივეც სიცოცხლეჲ ჩემი შიშსა და ვნინდა ცხადსაცა სიკუდილსა აწ უკუე მივიწიე ღრმად მოხუცებულებისა წელთა და ვარსაცა საფლავისასა, ამისთჳს მე თავისუფალ ვჰყოფ თავსა ჩემსა თქუენთა და მამულისა ჩუენისა ზრუნვათაგან; შევჰვედრებთ თქუენ მემკჳდრესა ჩემსა და საყუარელსა მესა, რომელსაცა ვაძლევ აწ ტახტსაცა და სამთავროსა გჳრგჳნსა, შემდეგ მოიქცა ჩემდა და მრქუა: ისმინე მეო ჩემო, რამეთუ ამიერითგან თანამდებ ხარ ნაცვლად ჩემსა განაგებდე ტახტსა და მამულსა, ჯერ არს რათა იყო გულის ჴმის-მყოფელ ყოველთა საქმეთა, რომელნიცა შენდამო მოიწევიან, იყავ მოწყალე მდაბალ-გულითა, მკაცრ სიმართლესა ზედა, გეშინოდეს მათ მოთმინებისა,

უსაჯე ქჳრივთა, განამართლე ობოლნი, ნუგეშ-ეც მწუხარეთა, აღადგინე გლახაკნი და დავრდომილნი პატივეც ღირსეულთა შენთა, ნუ ისურვებ მხარკჳართა მოხელეთაგანთა, გიყჳარდეს და ნუ მოიძულებ მტე-რსა, ეცადე მართლის მოყჳასად შენდა იყოლიო იგინიცა, გახსოვდეს შჳლო რამეთუ დადათუ მთავ-რად დაიდგინები ხელის ქჳეშეთა შენთა ზედა, გარნა უწყოდე, რამეთუ ყოველთა მონახარ, ნუ ამაღლდები გულითა, რამეთუ ყოველი გულ-მაღალი საძაგელ არს, წინაშე უფლისა პატივეც ეკლესიასა და მსახურთა მისთა, ამასთანავე ნუ დაგავიწყდეს მშობელთაცა შენთა, და ჰყოფდე მოხსენებას სულთა ჩუჱნთასა; მაქეცა ხმალისა თჳსსა და მტერდა, უსა-უყჳარდეს ასული და ხმალი. დაიცევ სახელი შენი წარუტყუვნელად, ზრუნვიდე ყოვლისა სახმარებისა წარუკველობისათჳს, ისარგებლე და განსცხრებოდე პატიოსნებით, შეჳნე ეკოჳლდე მეუფლეს შენსა ყოველთა საერთოთა საქმეთა შინა, მეცადინეობდე მართლის ხელის ქჳეშეთა წარმართებასა, უკეთუ ღმე-რთი მოგანიჭებს შჳლთა, მათთა კეთილად დაცვასა და აღზრდასა; ამა ყოველიავე საუნჯე ჩემი იქმნების ეკლთა შინა შენთა, გმართებს მოხმარება მისი პატიოსნებით და ზომიერად და არა თუ განბნევით; ესე ერთგული მეუღლისა შენისა და სარწმუნო მეუღლეულ, და უფლისა მარჯუჱნემან დაგიფარონ მართალისა და ყუჳნისამდე.

მაშინ იწყეს ღირსეულთა მოლოცვა ჩუჱნი და გადმოგვაყარეს ურიცხუნი თუალნი და მარგალიტნი

ყოფილნი და ვერცხლნი, რამეთუ ვერღარა დაიტევდა ადგილი იგი, და იქმნა განცხრომა და მხიარულება საკვირველი, რამეთუ ყოველ დღეს მოუწყენელად იყო ცემა ქნარისა, წინწილთა და ბუკ დაბდაბისა და მოვიდოდნენ სხუა ყრმითა მრავალნი დედებულნი და მოვიდოდეცვიდნენ ქორწილსა და სამთავროსა ტანტსა ადსლისა, და ესრეთ სრულ იქმნა დღესა-სწაულობა მისრულისა ჩუენისა. განვლეს ოთხთა თუეთა ვესწავა, რამეთუ სიძუი მეცელ-ქმნილ იყო ამისთჳს განვდნობ მამასა ყუელსა, რომელი ნამყოფნავისა სიხარულითა, გინიდა განმახუყვებულ იქმნა და მიეცა უფლობასა სიხარულსა, და ევედრებოდა ღმერთსა მონიჭებასა მისასა: სრულ იქმნა ცხრამეტ თუეს, სძვეის განხსნილმან მეუღლე ქმნულებისაგან შუა, მეჭე, ხოლო სიხარული მამისა ჩუენისა აღუწერელ-იყო და ყოველთა ჩუენთა ერთადგანთაცა, და გვიმღერ-ნიდნენ მრავალთა საწყუვართა, მიუწერე წიგნი სი-დედრსა ჩემსა ხვარამანს და წარუგზავნე მახარო-სრბოლით:

მოსრით სადმოის მომრთმევი, გახარებ შვილის-
შვილსაო.
სძვეის მიერ ნაშობსა მიეძღუნა გმირსაო,
ესენი განახარებს მოგირონდეს, ბუნიას თვისსა
ღირსსაო,
შემკობილ მცირედის ჟამისა, მანდ მნახავთ კოხტა
ბიჭსაო.
სხეულ უწოდებ პაპისას, ასპარის ახოვნისას,

ამისთჳს ნუ გამიწყრებით, ეგე სჯობს გრძნობ ჩემსასა,
თუ სათნო არ აღგიჩნდებათ, მაშინვე ვუწოდ მშისასა,
გამხიარულდით განსცხერით, მიჰყავით კელი ქასასა.

მიიწია რა ჩუენ მიერ მოვლენილი კაცი, და ვითარცა ჰსცნა სვარამან სოფლის მშვიდობის ჰამბავი და შობა მისა, განვიდა გარე საზღვართა თავისა თჳსისათა სიხარულით, და უზომოდ ჰყო გაცემა გლახაკთა და ობოლთა ზედან, და აღავსო სიმდიდრითა მათ მთხოვნელნი იგი ჩუენნი, და მიუწერა წერილი შემდგომის სახით.

ვიშუებ ვიხარებ ასულო, გულის ჩემისა სასურველო,
შენისა მორჩენისათჳს, ვარსკვლავთა ცისა სადგურო,
ლამაზის მისა მშობელო. ჩემ დაზრდილისა სატრფო,
მაჩის სახელი უწოდე, თეკლის ჩინო და საწყერო.
სიმკე გმირო და ლამაზო, ჩემდა მედ საგულებელო,
მოგვილოცავ მის შობას, კეთილო მახარობელო,
მაძღრისყუ თქუენი ხილვისა სიხარულისა მეგებელო,
სოფლის მკსნელო მატრონო, მწუხარებისა მკლებელო.
მამას თქუენს ჩემგან მოკითხვა, უმდიდრესნითა შე-
საბამითა,
რადგან უზომოდ იხარებთ, აქუს განცხრომისა ჟამია,
მაგრამ ვსთხოვ თქუენსა დათხოვნას, გიხილოთ ერთი
წამია,
უთქუენოდ ჩემი სიცოცხლე უგემური და მხამია.

წარვიკითხე რა წერილი ეგე, ვიწყე მომზადება

მოწათუქლისათჳს მისა ჩემისა, და გარდავიხადეთ ფერია-
ლი დღესასწაულობაჲ, გუწოდეთ სახელიცა სიმამრისა
ჩემისა ასპარ; შემდეგ გამოუცხადე მასა ჩემსა, ვი-
ნაიდგან წელიწადი სრულ იქმნა, რომელიცა სოფიამან
პაემნად მისცა დედასა თჳსსა მიქცევისათჳს თჳსისა
სახლსა თჳსსა, და ამისთჳს ითხოვს ნებასა წარსლი-
ვსა თჳსისა: მსმენელი მამაჲ ჩემი ამის ყოვლისა
დაჭმუნდა ფრიად და მეტყოდა; შჳლო ჩემო საყუა-
რელო. კეთილად შეჰქმ ჰყუი. რამეთუ ამიერითგან
გამგეობა სამთავროსა ჩუენისა დამოკიდებულ არს
შენზედან, ხოლო მე დღე ყოველ დრმად მოხუცე-
ბულებისაგან ვალი აღსასრულსა ჩემსა, და უკეთუ
შენ ანუ ჭმალი ჩემი არღარა იქმნებით აქა, მაშინ
ვინ იქმნების მზრუნველ ჩემისა დაფლვისათჳს, ვინ
უნდა განაგოს მამული და სახლი ჩუენი, უწყოდე
რამეთუ განშორება პატრონისა თჳსისა, ერისა მიერ
არა უპჭეულოდ იქმნების, და ესეცა შესაძლო არს
რათამცა რომელიმანმე მზაკუვრებამან ჰსცუალოს
გონება მათი. და ჰყონ სხუაჲ მთავრად თჳსდა; მაშა
უნდა მოაკლდესცა პირველი იგი პატრონი; დიდსებას
და გარისკასცა თჳსსა: გარდა ამისა ჩემდა რაჲდა
იქმნების სანუგეშოდ, ოდეს შენ და ცოლი და შჳლი
შენნი უკანასკნელსა ჟამსა ჩემსა განმეშორნეთ: ნუ
მიუ ჩემო. ნუ ჰყოფ ამას, რათამცა დიდებაჲ შენი
ჰსცუალე რაჲმეს უპატიოსა ქალქსა ზედან: მოითმინე
ვიდრე აღსასრულადმდე ჩემსა და ოდეს გუამი ჩემი
მისცე მიწასა და განაგო სახლი შენი, დაადგინე
მცენი და მოწესენი, მაშინ ვითარცა სათნო გიჩნდეს,

მერკჯულეცა ვაზნარეულნი: ყორსანი ამას ფოთოლისა თავსა ხორკლისა და მზისარეთ რქმნა, გინაჲცა დამთვრობილდა იგი განწყსაზღვრებულისა ჟამსა.

განშორებულ ორთა ანუ სამთა თუეთა, და იქმნა მოსულსა ჩუენსა მდიდარი სრულაჲ მომსჳვრელობის ჟამითა უცნაურად მეუფისხვა მამასა ჩემსა და გარდაიცვალა: ვიწყეთ მომზადება დაფლვისა მისისათჳს და მოვიწვიეთ ყოველნი გარეშემოთა ქალაქთაგან, მღვდელნი და მთავარნი; შემდგომ მდიდრად დაკრძალვა, და ვყავით საათავრო დასხმაჲ მამით მოკრძალული, რომელსაცა ზედა დავსხდეთ გუამი მისი. მოვსთქმიდი და ვსტიროდი მწარედ, ესრეთ მეტყუელი: დღეს აღივსო ჩემზედან ცაჲ გულის-წყრომით, მოწყდა ჩემზედა რისხვაჲსა თჳსი და მიმცაცა მშობელი ჩემი მამაჲ! დღეს მიმხედა მზემან მარადგანწლელი თჳსი და ბნელმან უკუნმან მოიცვა ქუეყანაჲ ჩუენი! უძჳრფასესო მშობელო! მიგჳხადა ზეცნიერი შენი მფარუელობაჲ მკერდთა განსაცხრობელად, ხოლო მოუყუარეთა საკუთრებად; განჴრეთი ცაო და აღიძარ ქუეყანაო, სტიროდეთ ჩემთან მთანო და ველნო; რამეთუ დიდებული მთავარი სჳანწმიერ საუკუნოდ განეშორა და ესტუმრა საუფლავსა ბნელსა და მიწასა ნოტიასა, სადაცა განისრწნების ახოანი და გმირებრი სხეული მისი, სადა ბრძნულნი და მაღალნი ჰსჯანი მისნი დამშრტნეს; მეგობრებო, მოყუსნო, სტიროდეთ ჩემთან მოყუასნო და თჳს ტომნი ჩემნო, ყოველთა მიერ საყუარელისა, წრფელ-სჳნიდის მართლ-მსაჯულისა, მოწყალისა და უხჳსა, ვინაჲ იჴსნენდა ქურივნი, რამეთუ

ნუგეშინის მცემელი თქუენი მიგუხვნადათ ვაჲ თქუენდა ობოლნო, რამეთუ გამომზრდელი თქუენი საფლავსა შთახდების, ვაჲ თქუენდა სამართლისა მეძიებელნო რამეთუ ვედრებათა თქუენთა მსმენელნი და მამებრ მოწყალე პატრონი არღარა გიგიესთ; რაჲ ვინუგეშო ნაცვლად შენსა უძვირფასესო მამაო! ვაჲ! ვაჲ! შენგან ობლად და უპატრონოდ დატევებულსა; ვაჲ! ვაჲ! პატრონის სიყუარულს და ჯერეთ მწუხარებათა გამოუცდელსა, მივლოდე მეცა მამისა ჩემისათანა, რამეთუ დავშთი ობლად: სოფიავ! მოვედ და სტი-როდე უპატივცემულესსა მამამთილსა შენსა, რომელი მარადის ზრუნვიდა პატივის-ცემისა და სიყუარულისა შენისათჳს, წარმოიდგინე თავსა შორის თჳსსა მისი შენდამომართ მოქცევა, მისი ალერსი, მისი მიღება და მისნი ნიჭებანი; მომთქმელი ამათ და ესე ვითართა სიტყუათა ვსტიროდი უჩუმოდ.

და ვითარცა შემოკრბნენ მეფენი, მთავარნი, დი-დებულნი და ყოველნი კელის ქუეშენი ჩუენნი, მაშინ მოვიდნენ სამღუდელონიცა კრებულნი, და წარვიღეთ გუამი მიცვალებულისა მონასტერსა აიაონო როსისასა სილინდრად სახუედრებულსა, და მეჯლარსა წინაპართა ჩუენთასა დასასაფლავად, და მუნით მოვიქეცით სახლად. და წელსა ერთსა იყო პალატსა ჩუენსა გლოვა და ტირილი, და შემოსა ძაძა ფალასითა. ამის მიზეზით დავშთი მეორესაცა წელსა ქალაქსა სიციონიას, და ვპყიერობდით სამცხედ წარსულისათჳს, იხილე ძმაო გაზრდილო რამდენნი ცვლილებანი არიან სოფელსა შინა და

შემდეგ შენის განშორებისა, რაოდენნი საქმენი შემეთხჳენ; ხოლო მმადლობელი ღვთისა განვჰს-ცხრები მეუღლისა ძმისა ჩემისათანა ერთგულთა, და ველი შენსაცა ჰამბავსა.

ერთგული მოყუასნი შენი მართენი მთავარი სიცოცხლისა.

თ. დ. ციციშვილი.

1420 წელსა
9 იანვარს.

# ქვრივის ლიმონები.

მას დროს, ოდეს სახელი ძრიელის მეფის ირაკლისა განთქმული იყო, არათუ მხოლოდ საქართველოში, არამედ თვით ევროპაშიაც, ერთს დღეს, ათას შვიდას ოთხმოც და მეექვსე წელსა, მაისის პირველსა, ქ. ტფილისს, კნეინა ბებე, ქვრივი ოც და ოთხის წლისა, იჯდა თავის სახლში ფანჯარასთან დაფიქრებული და თვალს გაშტერებით ადევნებდა ხალხსა, რომელიც ჟივჟივით დადიოდა ტფილისის ქუჩაში.

— ვაჲ შენ ჩემო თავო! ჰსთქვა ბებემ: ნახე რა მომივიდა? წირვა გამომშვიდა!.... ნახე რა მიყო იმ ქალმა!.... ქვრივი ბებე კიდევაც ბევრს ივაიშვიშებდა, თუ რომ ამ დროს მსახური არ შემოსულ-იყო და არ მოეხსენებინა: «მეფე მობრძანდება!»

კნეინა ბებე წამოხტა მარდად, დაისველა თითი ნერწყვით, გადისვა წარბებზედ, გაისწორა კავები, ჩაიხედა სარკეში და გაეგება კარებზედ.

რა შემობრძანდა მეფე ირაკლი მოხრე, ჩამოართო ბებეს ხელი, აკოცა შუბლზედ, მოიყვანა და დასო ტახტზედ, თითონაც გვერდს მოუჯდა.

— შენს დასატუქსავად მოვედ ჩემო გარყვნილო შვილობილო, უბრძანა მეფემ ბებეს. რომელი უმან-გილი ქალი, მეტადრე შენსავით ლამაზი, დაჯდება შინა პირველს მაისსა და წირვას არ მოისმენს? მე სამოც და თექვსმეტის წლის კაცი ვარ, მაგრამ ამ ახლად განღვიძებულს ბუნებას რომ ვუყურებ, ამ მწვანეს მოსილს ველსა და კლდესა, ასე მგონია

რომ მეც გარდავხალისდი და ახლა შევდივარ სიჭა-ბუკეში.

— თქუენო დიდებულებავ, მოახსენა კეკემ. პირ-ველად განვიცხადებ დიდს მადლობასა, რომ შე-გიმცნევიათ ჩემი წირვაზედ უმყოფელობა, და მეორედ გავჰმდავ დავაბეჯითო თქუენთან თქუენი ქალი ანას-ტასია, რომელმაცა მიბრძანა მოცდა და ერთად წასვლა წირვაზედ. იმის ლოდინში მეც მოვცდი.

— ჰსტყუი შე კუდიანო! მიზეზად ანასტასია ნუ მოგვაქვს: ის იქ იყო. სხუა ნამდვილი მიზეზი უნდა მითხრა.

— სხუა მიზეზი არა მქონია რა თქუენმა მზემ, უფროთ ბატონის-შვილს დავიწყებია...

— მაშ შენი მოუსვლელობა უნდა მივაწეროთ შენს დიდ სულიკვნებასა? უბრძანა მეფემ დიმილით. როგორც ობოლი მარგარიტის თვალითებში, ისე ჰსჩა-ნხარ ამ ჩუენი თავადის შვილების ქალებში; ხოლო რადგანც იცოდი, რომ დღეს ანჩისხატში ბევრი გასა-თხოვარნი ქალნი იქმნებოდნენ, ამისთჳს არ მოგინ-დომია იმათი გულის დაწუვა და დაჩაგვრა, თორემ იმათაც იციან მაგიერის გარდახდა. ლამაზსა ქვრივსა, მეტადრე შენისთანა ობოლსა და ახალგა-ზდასა, ბევრი საშიშროება არტყია. ისინიც არ დაზოგავდნენ თავიანთ გესლიანს ენასა ემუშავებინათ შენზედ.

— თქუენო დიდებულებავ! მოახსენა კეკემ. მეტად შესაბრალისნი და გონჯნი უნდა გახდნენ ისინი რომელთაცა ჩემი სილამაზე შეშურდებოდათ. მე რადა

გასარევი გახლავარ ყმაწვილ ქალებში. —

— სტყუი, მამაჩემი თეიმურაზ არ წამიწყდება! ემაგას ამიტომ ამბობ, რომ უმეტესი ქება გაიგონო ჩემგან... თუ რომ მე სიბერისაგან დამკარგვია გონოვნება და თუალებიც აღარ მიჭრის, ამას ხომ ყოველთვის სიამოვნებით გხედავ ხოლმე, რომ, სადაც შენ იქმნები, იქ ყოველნი ჩინებულნი ყმაწვილნი კაცნი უწყალოდ ანებებენ თავიანთ ქალებს თავსა და ემუდარებიან შენს გარემო შემოავლონ წრე. ყოველს შენს ღიმილსა და სიტყუასა ისინი ზეცაში იჭერენ აღტაცებით!

— მე იმიტომ, ჩემო დიდებულო მეფევ, რომ იმათ იციან, რომ მე თქუენი შვილობილი გახლავარ და მწყალობელი ბრძანდებით ჩემი.

— მე მეტად მცირე მიზეზია, უბრძანა მეფემ. შენი სილამაზის მეტი არა იზიდამსრა ყმაწვილ კაცებს შენთან. მეცა მყავს ექვსი ქალი, მაგრამ შენთან ვერც ერთი ვერ მოვლენ. დღეს წირვაზედ ყმაწვილ კაცთ კისრები მოეგრიხათ ზევრის ქალებისაკენ უყუ-რებთ, მაგრამ ამაოდ გათვალიერებდნენ შენა. — გული მტკივა, რომ მერე უპატრონოდ გიყურებ დაღონებულსა... იცი რა გითხრა, ჩემო პატარავ მგრივო?

— საბერძნეთში, ათინაში, მეწლად ყოფილა ერთი მშვენიერი ქალი უბრალოთაგანი, გარნა როგორც გითხარ ლამაზი. ერთმა მის თაყვანის მცემელ-თაგანმა, რომელსაც ამაოდ უჟანტავს მისთვის ოხვრა და საჩუქრები დააბეჩდა თურმე გაჯავრებულმა ეს ქალი

ღჳთის ურწმუნოებაში. სამსჯავრომ გარდასწყვიტა ამ ქალის განძევება ათინიდგან და დაიპარეს იგი ამის გამოსაცხადებლად. ქალი მივიდა სამსჯავროში მაშინდელის ჩვეულებისამებრ პირ ჩამოფარებული. ერთმა მწევრმა, რომელსაც გაეგონა ამ ქალის მშჳენიერება და არ ენახა კია, ჩამოგლიჯა მას პირთაგან საფარებელი... ხოლო რა ნახეს მუნ მყოთა... არას თჳალს არ ენახა, არა ვითარსამე მაცხადებელს გონებას არ წარმოუდგენია ის მშჳენიერება, რომელიც მათ იხილეს თავიან წინაშე!... მწევრნი განცჳფრებულნი უყურებდნენ ამ ქალსა, ვითარცა ზეციდგან მოვლინებულს საკჳრველებასა რასმე... იქვე შეადგინეს მათ მეორე განაჩენი, რომლითაც არა თუ აძევებდნენ გჳალად ამ ქალს ათინიდგან, არამედ დაუდგეს მას აუცილებელიც საკანონოდ, რომ იგი ყოველს დღესასწაულსა გამოცხადდეს ხალხში პირ ახდილი....

— -აჰა, ჩემო საყუარელო ქვრივო! ღმერთი აძლევს ქალსა მშჳენიერებასა არა თუ მხოლოდ თავისათჳს და დასამალავად, არამედ გამოსაჩენად და განსაკჳრვებლად ქუეყნისა. შედარება ათინელის ქალისა შენთან, სილამაზით და არა ქცევით, არ ვიცი რაოდენ ახლოს იქმნება, მაგრამ, თუ რომ გინდა, რომ უმაწვილო-კაცთა მოხოვონ ამ გუარივე განაჩენის შედგინება შენზედ, უნდა, რომ უეჭუელად ერთი მათგანი მცველად გყვანდეს... კარგად იცი შენვე, რომ იგი, რომელსაც შენ მოიწონებ და ამოირჩევ მპატრონად, შეიქმნება უდიდესი ბედნიერი... მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ სპარსეთის შაჰიმ ქერიმ

ხანმა იცოდეს შენი მშვენიერება, უთუოთ მომთხოვს შენს თავსა, ანუ შენს მოსატაცებლად მოვა ჯარით საქართველოზედ... დღეს უფრო უკეთესად მეჩვენები თვალში. მაისის ვარდი მოგეფინა ლოყებზედ და ბაგეზედ.. ემედა ჯანჯარაში ლიმონები გიწყვია; უთუოდ შენ იცი რამ საიდუმლოდ წამლის შედგენება, რომელსაც ხმარობ შენს განსამშვენიერებლად... ჰა! უფრო გაწითლდი? განაგრძელა მეფემ ღიმილით. უთუოთ გამოვიცანი, ახლა კი უნდა აღმიხსნა მაგ ლიმონების ხმარება. იქნება ეგ წამალი ჩემს სიბერესაც მოუხდეს?... ოჰ! რა სახით დავიმადლებ, ჩემო საყვარელო ქეთევ, მხრებიდგან რომ ჩამომართოთ ოციოდე წელიწადი; მაშინ თუ მთელს არა, ნახევარ საუკუნოს მაინც შენს საქმროს დაუთმობდი!

—თქვენო დიდებულებავ, მოახსენა ღიმილით ქეთევმ გაწითლებულმა. უნდა გაგიტყდეთ, რომ თქვენს ბრძანებამდის ამ ლიმონებს ვეკითხებოდი ჩემს ბედსა მაგ საგანზედ.

მეფემ შეხედა მას განკვირვებით და ელოდა იგი ამ სიტყვების განმარტებასა.

—ეს ერთი წყვილი ლიმონი მაჩუქა თქვენმა ქალმა ანასტასიამ თქვენის ბაღიდგან, განაგრძელა ლამაზმა ქვრივმა.

—შეურცხვენ გაცემულთა... მაგრამ აკი ვამბობ თქვენ ერთი ეშმაკობა გაქვსთ რამა. უთუოდ იმასაც წამალს უკეთებ. თუ შეეტყვეს დანაშთენთა ჩემთა ქალთა ეგ შენი ლამაზობის ჯადოსნობა, იცოდე

რომ შევურიცხვენ ქუდიანად და დავწვენ საკირეში.

— არა, თქუენო დიდებულებავ, მე ჯადოსნობისა და თილისმისა არა ვიცირა. მე ამ ლიმონებით მხოლოდ გარდმეწყვიტა ეჭვი ერთის ჩემის საქმისა და ამისთჳს მკითხავის სამაგიეროდ ამათ ვხმარობდი.

— მე მაინც ვერა გავიგერა, ჩემო საყუარელო! არ იქნება ცოტა განმარტებით მითხრა?

— ნუ ინებებთ, თქუენო დიდებულებავ, დაწვრილებით გამოკითხვას. ეს საქმე მარტო მე შემეხება... ნუ გამაწითლებთ, ნუ შემარცხვენთ.

— იმედი მაქუს, ჩემო შვილობილო და ჩემის იულონის ნათლულო შესაკიცხავს საქმეს არ დაიჭერს. კარგად იცი, ბაბავ, რომ შენს მდგომარეობაში მივიღებ მონაწილეობასა ისე, როგორც ჩემის შვილებისათჳს... მართალია სიცოცხლე სხუას მოუნიჭებია შენთჳს, მაგრამ განსუენებულს მამა შენსა დაუდვია ჩემზედ ვალი შენის მზრუნველობისა.... «იყავ მოწყალე ჩემს ცოლს შვილზედ, ჩემს ნორჩს ბაბაზედაო:» მთხოვა მან უკანასკნელს აღმოჴშვნის ჟამსა.— გითხრა, როგორ იყო: ვგონებ უნდა იცოდე, რომ სტამბოლის სულთნის ბრძანებით, ახალციხის ფაშასა სულეიმანსა ჰყუანდა ჯამაგირით დაჭერილი ხუთი, თუ ექვსი ათასი ლეკი, რომელნიცა აოხრებდნენ ქართლსა, მე მხოლოდ სულეიმანის ჯავრის ამოყრა. შევჰკრიბე საკმაოდ ჯარი და წავედ ახალციხეზედ, დასაკვირველია, მოგვიხდა დიდი ომი. ვნახე რო თოფის სროლით ვერა გავხდითრა; მაშინ უბრძანე ჯარსა იშიშვლონ ხმლები და მე პირველი,

მაგალითი გაჩვენე მათ: ხმალ ამოღებული შევვარდე მტერში, წამოვიდა ერთი ვეშაპივით ოსმალი და შემომამგერა სასიკვდილო ჯიდა, მე უკვე ჩემს გუ-ნებაში ვესალმებოდი სიცოცხლესა, ვითარცა უეცრად ჩემსა და იმ ოსმალის შუა რაღაც გადმოწვა... ის იყო განსვენებული მამა შენი ივანე აბაშიძე, რომე-ლმაც უშიშრად მიიღო ჩემთჳს დანიშნული სიკვ-დილი... ოჰ! მაშინ მომეცა მე იდუმალ ძალა, რომელიც აქამომდე აკვირვებს ლეკთა და ოსმალთა! ერთი ხმლის დაკვრით გავჰსწყვიტე შუაზედ მამიშენის მკვლელი; ხმა ვჰყავ ჩემს ერთგულს სპათა და ვი-თარცა თივა, ისე გათიბინე მტერი... თუმცა ავაოხრე მთელი ახალციხე, ხერთვისი, შევმუსრე მტერი, გარდავწვი მაზრები, მაგრამ მამაშენი კი შეიქმნა მსხვერპლი ამ საქმისა. უიმისოდ მეც მომკლამდნენ და იქნება საქართველოც წაეხდინათ... მაშინ მიეწერა სტამბოლის სულთანს ჩემზედ სპარსეთის შაჰსათჳს ქერიმ-ხანისათჳს: «ლომი აქშო და ლაბიო, თორემ ჩემს შემდეგ შენც გამოჰსცდი იმის გალესილთ ბჯალებსაო.» შაჰს თურმე ბევრი ეცინა და სიამოვ-ნებითაც მიეღო ეს ამბავი — ჩემგან სულთნის დაჩა-გვრა; მაგრამ მაინც იმის მეგობრობის გამო, შაჰმ მიხოვა წიგნით, აღარ შევაწუხო სულთნის სამფლობელონი; ამასთანვე გამოუგზავნა ჩემთჳს საჩუქრად, ერთი ჩინებული ძვირფასი ხმალი და ერთიც ცხენი თჳალ მარგალიტით შეჭედილი იარა-ხტით... სულთნისათჳს კი მიეწერა, რომ თუმცა ზღჳაში ჰსდგეხარო, მაგრამ მთელი მაგის წყალი

ვერ გარეცხს შენს სირცხვილსა; რომელიც ირაკლის მეფისაგან გიჭამია... მამაშენის სიკუდილმა ამწუხარა დედა შენი. ის საცოდავიც ერთს წელიწადზედ გათავდა, შენ დარჩი ორის წლისა და მიმით გადმოგიყვანე ჩემს სახლში, ჩემს შჳლებთან... აბა, ჩემო საყვარელო [illegible], ნუ თუ ქალს იმ მამისას, რომელმაც დაიხსნა მეფე სიკუდილისაგან და საქართველო შერცხვენისაგან, არა აქჳს ნება მოითხოვოს თავის მეფისაგან ყოველი ბედნიერება, რომლის მიცემაც კი მას შეეძლოს?... ბირიუელი ჩემგან აღმორჩეული ქმარი გარსევანი ღმერთმა არ შეგვარჩინა! იმანაც ერევნის ომში მიიღო ჭაბუკაცური სიკუდილი... რა ვქნათ შჳლო! თითქოს ღმერთსა საქართუელო გაუჩენია გამოსაცდელად მოთმინებისა. ეს ერთი ბოხჩა საქრისტიანო ადგილი მოუმწყვდევია საშუალ მაჰმადიანისა, რომელიცა დაარსებით ჰსწენს და ჰკლავს მას, სარწმუნოების გამოსაცულელად. შჳლნი საქრთველოსი არ ეკუთჳნიან თავიანთ ცოლშჳლსა და სახლობასა: ისინი ყოველთჳს მზად უნდა იდგნენ ხმალ ამოღებულნი ცოლშჳლისა და სარწმუნოების დასაცუელად... არ ვიცი როდემდის უნდა განგრძელდეს ამ გვარი მდგომარეობა საქართუელოსი! ვინც შეეძლესნი შჳლნი ჰყვანდა მას, თითქმის ყველამ თავი შეაკლა მამულსა... ოცს კაცში ხუთი ძლივსღა კუდება ქუეშაგებში საშუალ სახლობისა თჳსისა, დანარჩენნი წუებიან ველსა ზედა ბრძოლისასა.... რა არის ეხლანდელი ჩუენი ცხოვრება? რა ყოფილა ძველად,

და რა იქნება მომავალში? განაგრძელა მეფემ დაფიქრებულმა, თითქოს მარტო თავის თავს ელაპარაკებოდა: სახლი არ არის, რომელმაც ერთი წელიწადი უმგლოვროდ განატაროს; სახლი არ არის, რომ სამს ძმაში ერთი ძმა არ გათათრებული იყოს ძალით, ანუ ტყუჱში არ იყოს წაყვანილი... მარად დაწვა, მარად ხოცვა, მარად აღრეულება... ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამათ?... დღეს არის თუ ხვალ საქართუჱლოს მოეღება ბოლო, იგი აუცილებლივ გათათრდება... თან და თან უკან მიდის, შემცირდა ხალხიც დაუცხრომელს სისხლის დღვრასა და ტანჯვასა.... საქართუჱლოს აღარ შეუძლიან მარტო ბრძოლა ყოვლის მხრივ ასივებულ მტერთან. იგი მოხუცდა, მოუძლურდა, ძალა გამოელია ჩუენავით... მე დავიწყე შეკავშირება საქართუჱლოსა რუსეთთან, რუსნი ძლიერნი არიან,-ჩუჱნი მერწმულენი არიან, იმათ შეუძლიანთ მტრის გამძღოლა, ისინი დაამყარებენ ქართუჱლთ თავის სარწმუნოებაზედ, დაფარვენ თავის ძლიერის ფრთებით... ვინც უნდა მლანძღოს, ვინც უნდა მაგინოს მე ამ საქმისათჳს. მხოლოდ მთამომავლობისაგან მოველი სიმართლეს: იგი დააფასებს ჩემს შრომასა, ჩემს მოქმედებას... თუ მე ღმერთი არ მაღირსებს ჩემს სიცოცხლეშივე საქართველოს შეკავშირებას რუსეთთან მყარის კავშირით, მე ანდერძად დაუგდებ ჩემს შვილს გიორგის. ეს უფრო გონიერია და შორს მხედველი სხუა ჩემს შვილებზედ, მაგრამ სნეულია... ძმები ამას უსისხლოდ არ დაანებებენ ტახტს... ალექსანდრე

აბეზარი შვილია, ის არ მოისვენებს, მიიმხრობს დანაშთენსა ძმებსა: იულონს, ალმასხანს, მირიანს, ფარნავაზს... ეხლავ ვხედამ მე იმათში განხეთქილებას... ზოგი სპარსეთში გაიქცევა, ზოგი ოსმალში, და ზოგი სადა, წამოიყვანენ ჯარსა და აკლებინებენ საქართველოს... უზესთაესო არსებავ! შებრალე საქართველო, აკმარე ესოდენი გამოცდა და ტანჯვა, რომელსაცა ჰსწევს და ითმენს მხოლოდ შენის სახელის სადიდებელად, ქრისტიანობისა.. შენ დააგვირგვინოსანე ეს კავშირი შენის მოწყალებით, თუ რომ კეთილი იყოს:,. ოჰ! საბრალო საქართველოვ!... ნეტავი ორმოცის წლის შემდეგ ჩემის სიკვდილისა, კვალად მაჩვენა, ანუ გამაგონა შენი მდგომარეობა რუსეთის ჴელში, ჩემი მაწყუვარი იქმნები თუ მლოცველი ამ ფიქრისათჳს... გულთა მხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ მხოლოდ შენის ბედნიერებისათჳს დავიწყე რუსეთთან ეს კავშირი და არა ჩემის დიდებისათჳს... არ არის იმ გვარი მსხვერპლი, რომლის შეწირვაც არ გამოვიმეტო შენს დასამშვიდებლად, შენს გასაბედნიერებლად, უბედურო საქართველო!...

(დასასრული იქნება შემდგომს წიგნში.)

## აქბარის ლალი.

ბარონი დიუთარი გვიამბობს თავის მოგზაურობაში ინდოეთის მხრისაკენ ამ ამბავს: «ერთელ აქბარ, მეფობდა რა ინდოეთში 1555-1605 წ. და ეშუ-საიუბრებოდა რა თავის ვექილს ბირბალს სხუათა შორის ჰკითხა: «დიდი უბედურება რომ შეგემთხვეოდა რასა იქმოდით?» «ვიმხიარულებდი და ვიგულითადებოდი.» მიუგო ვექილმა. «იმხიარულებდით და იგულითადებდით?» «რასაკვირველია!» მეორე დღეს უბოძა ბირბალს ერთი უძვირფასესი ლალი და უთხრა: წაიღე ეს ლალი და შეინახე ვიდრე მე მოვითხოვდე.» ლალი ზევითაც მოვიხსენიეთ უძვირფასესი იყო და ღირდა რამდენიმე მილიონად. ვექილმან, წამოიღო რა შინ ლალი, რომელიცა მიანდო თავისმა მფლობელმა, იმ წამსვე მისცა თავის ქალს და უთხრა სიფრთხილით შეენახა. რასაკვირველია ქალმა ჩადო ლალი, დაკეტა სამის მაგრის კლიტით. აქბარმა რა ეს გათავა მეორე დღეს დაამახვენინა უპირველეს ქურდსა, რომელიცა უნდა მისცემოდა სამსჯულისა გარდაწყვეტილობით სიკუდილსა და უბრძანა: «ქურდო! დამიბრუნებია შენთვის სიცოცხლე, უკეთუ აღასრულებ ჩემს ბრძანებასა. «რა უნდა ვქნა?» მიუგო ქურდმა. «უნდა მოჰპარო ჩემს ვექილს ბირბალს ლალი, რომელიცა მე მიეცი შესანახავათა.» ქურდი ფიცხლავ დათანხმდა და რა შინ მივიდა, იშოვნა თანამოზრე ერთი ბებერი დედაკაცი, რომელიცა

შავიდა მოსამსახურედ ბერბულის ქალთან, და მცირე ხანში ისეთი შეაყვარა თავი, რომ ქალმან აჩვენა მას ლალი. ამის შემდგომ მოხუცმა ჩაიგდო დრო, აიღო ძვირფასი ქვა და მისცა ქურდსა, რომელმაც მაშინვე სიხარულით მიართო აბგარს. გახარებულმან აბგარმა აიღო საწადელი ლალი, თჳთან თავის ქუდით ჩააგდო დუყუმის მდინარეში და შემდგომ დაიბარა თავისთან ბერბული, რომელსაც მოსთხოვა ჩაბარებული ძვირფასი ნივთი. ბერბული გამოიქცა, მაგრამ რა მოვიდა და შეიტყო საქმე როგორც იყო, თქვენი მტერი! აღარსად სჩანდა და ის უნდა დაბრუნებული იყო ცარიელის ჴელით. «რა უყავ ლალი?» ჰკითხა სულთანმა. თქუენ მიიღებთ იმას ორ კვირის შემდგომსა,» მიუგო ვექილმა «კარგი, აგრე იყოს, უთხრა აბგარმა, მხოლოდ ესკი უნდა იცოდე რომ თუ ამ ორ კვირაში არ მომიტანე, თავს ტანისაგან განვაშორებო:» ბერბული წავიდა სახლში და უთხრა თავის ქალს: «ჩუენ დაგვრჩენია სიცოცხლე თოთხმეტი დღე. ეს მოკლე ჟამი მაინც გავატაროთ ლხინში და სიამოვნებაში.» მამა-შვილთ დაიწყეს ლხინი, გამართეს სადილები და მეჯლისები, ისე რომ მეთორმეტეს დღეს ბურის ფულიც აღარ ჰქონდათ. სიკვდილამდინ დარჩენილი იყო ორი დღე. მეთორმეტეს დღეს დილა ადრიან, ერთმა მეთევზის ქალმა უთხრა თავის მამას: «ჩუენ მეზობელ ვექილს და თავის ქალს ორი დღე არის არაფერი არ უჭამიათ, ნება მომეცი მივუტანო საუზმე ახლანდელი დაჭერილი თევზით.» მამა დათანხმდა

და მანც წაუღო თევზი. ბერბულის ქალმა მიიღო ესე საჩუქარი დიდის მადლობითა და მაშინვე მოხარშა. რა თევზი მოამზადა და ორნივე შეექცევოდნენ მოულოდნელის სანოვაგის ჭამით, რაღაც მოუდგა ქვასავით პირში და რა გამოიღო, ოხ, სასწაულებაო! ნახა რომ ის ქვა იყო ლალი აბგარისა! მეორე დღეს დიდის სიხარულით წარუდგინა თავის ბრძანებელს და მოახსენა. მე მოგიტანეთ თქუენი ლალი ჩემს პირობის მიცემულს დროს.» აბგარი იყო აღტაცებული გაკვირებისაგან, რა შეიტყო როგორც იყო საქმე, იმისთჳს აჩუქა ბერბულს ორი მილიონი რუპი (ვერცხლის ფული,) და უბრძანა: «შენ მართლად რომ მართალი მითხარი, უბედურებაში სასარგებლო ყოფილა სიხარული, ვიდრე მწუხარებაო. —»

ი. ჩუბა-შვილი.

## განცხადება.

მომავლის, 1858 წლიდგან, ყოველად გამოიცემება «ცისკარი» ქართული სალიტერატურო ჟურნალი. აქამომდე გამოცემულმა «ცისკარმან» ისე განაღვიძა ხალხში სურვილი როგორც კითხვისა, აგრეთვე წერისა, რომ მრავალნი პირნი შორის

ქალაქებით-გან გვთხოვენ პირველის იანვრითგან გამოცემულს წიგნებს, გარნა თხოვნა მათი რჩების აღუსრულებელი, რადგანც რედაქციაში არცა თუ ერთი წიგნი დაგვრჩომიეს. ამას გარდა, რედაქციაში გვქონან მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი სხვა და სხვა პირთაგან წარმოგზავნილნი, როგორც ახალნი, აგრეთვე ძველნი, აქამომდე დაუბეჭდელნი, რომელთაცა ვამზადებთ შემდგომის წლისათვს დასაბეჭდავად და რომელთაცა იმედი გვაქვს წარიკითხამენ დიდის კმაყოფილებით პატივცემულნი ჩვენის ჟურნალის მკითხველნი. ეს ყოველი გვაძლევს იმედს, რომ თან და თან მიეცემა ჩვენი ჟურნალი დიდსა წარმატებასა. ამისათვს ვხმარობთ დიდსა ღონის-ძიებასა, რათა გამოვსცეთ მომავალის წლითგან განშვენიერებით და განვრცელებით «ც ი ს კ ა რ ი» რომლისათვსაც მოვიწერეთ ს. პეტერბურღით ჩინებული ასოები, ოთხ გვარნი. რადგანც წიგნები დაიბეჭდებიან კელის მომწერთა მიკედვით, ამისთვს ვთხოვთ, მსურველნი «ც ი ს კ რ ი ს ა» ამის, გვაც-

ნოჳბებდნენ ადრე, და თან წარმოადგენდნენ შესახვედრს ფოჳლისა. ფასი დაშთების იგივე შვდი მანეთი გაგზავნით.

რედ.

# სარჩევი.

წარჩინებული სიტყვიერება, — პოეზია: I. ბეჭედი. (იოს. ოკანოვისა) 1. — II. ზღაპარი. შე-ჩივლა ცხოვართაგან თუხლაში პატრონისა მწყემსზედ, (ი. ს.) 2. — III. ჩხიკვ-უკა-კბუიანი: (ი. ირაკლი ლორთ-ქიფანიძისა) 8. — IIII. ბერი და თევი: (ლუკა ისარ-ლოვისა( 20. —

პროზა: I. მოთხრობა მოგზაურისა (დავით თაზიევისა) 35. — II. მოთხრობა პარიჟენისა, (ი. დ. ციცი-შვილისა 36. —

ჰსწავლა და ხელოვნება: I. ქვრივის ლო-მონები (გ. რჩეულოვისა) 69. —

სხვა და სხვა ამბავი: I. ავგარის ლალი, (ი. ჩიჩა-შვილისა,) 81. —

ამა-სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრის» მიმღებს მსურველთა, შეუძლიანთ ინებონ მოქცევა თხოვნითა რედაქცია-ში, ქ. ტფილისს; თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბა-კურიან ორბელიანის სახლებში. ფასი თორმეტის წიგნისა, ესე იგი: ერთის წლისა, ექვსი მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვიდი მანეთი თეთრი ფული.